დიდად სამწუხაროდ, ჩვენს ხალხში ჯერ კიდევ მრავლად არიან „ამომრჩევლები“, რომლებსაც სინათლე და სიბნელე ერთმანეთისგან ვერ განურჩევიათ!..

საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვეული სიტყვაა, ტყეულებით და ჭირებით ბუტთის გაფანა ყვეოა უკარბისობაზე უსაძაგლესია.

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ორშაბათი-ოთხშაბათი, 2-4 ნოემბერი. 2020 წ. №148-149 (9074-9075) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

ამერიკის პრინციპული პოზიცია „ოცნებისა“ და ქართველი ხალხის სასარგებლოდ

საქართველოში აშშ-ის საელჩომ გუინ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა:

ამერიკის საელჩო იზიარებს ეუთო-ოდირის პირველად შეფასებას, რომ „საქართველოს საპარლამენტო არჩევნები კონკურენტულ გარემოში და ზოგადად ძირითადი თავისუფლებების დაცვით ჩატარდა“.

ამის მიუხედავად, ამომრჩევლებზე ზეწოლის შესახებ ფართოდ გავრცელებული ბრალდებები და მმართველ პარტიასა და სახელმწიფოს შორის საზღვრის ბუნდოვანება საარჩევნო პროცესის ზოგიერთი ასპექტის მიმართ საზოგადოების ნდობას ამცირებდა. ჩვენ მოვუწოდებთ ყველა პარტიას გაითვალისწინოს აღნიშნული ხარვეზები მეორე ტურისა და შემდგომი არჩევნებისას. საარჩევნო პროცესის ხელყოფის ეს მცდელობები: ამომრჩევლის დაშინება, მოსყიდვა, ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა, პარტიული და ოფიციალური საქმიანობის არამკვეთრი გამიჯვნა და საარჩევნო დამკვირვებლებსა და ჟურნალისტებზე ძალადობა, მიუხედავად იმისა, რომ შედეგების არალეგიტიმურად ცნობისთვის არ არის საკმარისი, განაგრძობს საქართველოს საარჩევნო პროცესის დაზიანებას და მიუღებელია.

ჩვენ მხარს ვუჭერთ ამომრჩევლებისა და პარტიების მიერ არსებული სამართლებრივი პროცედურების გამოყენებას არჩევნებთან დაკავშირებული საჩივრების წარსადგენად. მნიშვნელოვანია, შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მიერ არჩევნებთან დაკავშირებული ყველა დასაბუთებული დარღვევის მიუკერძოებელი გამოძიება და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საჩივრებზე რეაგირება. სარწმუნო საჩივრების სამართლიანად, გამჭვირვალედ და დროულად გადაწყვეტა მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ქართველ ხალხს ჰქონდეს ნდობა არჩევნების შედეგების ლეგიტიმურობის მიმართ.

შეერთებული შტატები გააგრძელებს არჩევნების მიმდინარეობაზე ყურადღებით დაკვირვებას, მათ შორის, საჩივრების განხილვაზე, აპელაციის პროცესსა და მომდევნო რაუნდის კამპანიაზე. ჩვენ ვთხოვთ საქართველოს მოქალაქეებს, გამოიჩინონ მოთმინება, რათა პროცესი წარიმართოს წყნარად, მშვიდობიანად და პატივისცემით, საქართველოს კანონმდებლობასთან და საერთაშორისო სტანდარტებსა და პრაქტიკასთან შესაბამისობაში. ყველა მხარე ვალდებულია უზრუნველყოს საარჩევნო კოდექსის იმპლემენტაცია და აღსრულება.

ამ არჩევნების წინა პერიოდში მიღებულ რეფორმებში გათვალისწინებული იყო წინა არჩევნებზე გამოვლენილი ზოგიერთი ხარვეზი. ჩვენ მოვუწოდებთ მომდევნო მოწვევის პარლამენტს, გაატაროს დამატებითი რეფორმები იმ ხარვეზების აღმოსაფხვრელად, რაც აღნიშნულია ოდირის საარჩევნო შეფასებებში. როგორც ყოველთვის, შეერთებული შტატები განაგრძობს საქართველოს ძალისხმევის მხარდაჭერას, გააუმჯობესოს საარჩევნო პროცესი და ააშენოს უფრო ძლიერი დემოკრატია.

სალომე ზურაბიშვილი: საქართველომ შეძლო და ჩაატარა მშვიდობიანი, სამართლიანი, უსაფრთხო, დემოკრატიული არჩევნები

პრეზიდენტის თქმით, ურთულესი და უპრეცედენტო გამოწვევების მიუხედავად, გუშინდელმა საპარლამენტო არჩევნებმა მსოფლიოს კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ საქართველო დემოკრატიულობის და განვითარების გზაზე შეუფერხებელ სვლას აგრძელებს.

„ჩვენ შევძელით, არჩევნების მშვიდ გარემოში ჩატარება, ამომრჩეველთა მაღალი აქტივობის მაჩვენებლით და მძიმე დარღვევების გარეშე. თითოეულ ამომრჩეველს, პოლიტიკური ნიშნის მიუხედავად, ამისთვის მინდა, ვუთხრა მადლობა, რადგან ეს ყველას გამარჯვებაა. მინდა, მადლობა ვუთხრა სამართალდამცველებს, რომლებმაც საარჩევნო უბნებზე უსაფრთხოება უზრუნველყვეს და ყველა საჭირო შემთხვევაში მოახდინეს მყისიერი რეაგირება, რამაც დაიცვა ჩვენი მოქალაქეების არჩევანის თავისუფლება. მადლობას ვუხდი საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიებს ამ უმნიშვნელოვანეს პროცესში მონაწილეობისთვის. ჩვენთვის და პირადად ჩემთვის, ძალიან საამაყოა მათ მიერ საარჩევნო გარემოსა და პროცესების პოზიტიური შეფასება“, — აცხადებს პრეზიდენტი.

მისივე თქმით, **არჩევნების ახალი საარჩევო სისტემის მიხედვით ჩატარება დემოკრატიისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია. მადლობა მინდა, ვუთხრა ცესკოს, მის წევრებს, მის თავმჯდომარეს და ყველა იმ ადამიანს, ვინც საარჩევნო ადმინისტრაციაში ურთულესი პანდემიის პირობებში ზრუნავდა არჩევნების უსაფრთხოებასა და სამართლიანობაზე.**

ჩვენ შევძელით, რეგიონში მიმდინარე კონფლიქტის მიუხედავად, არჩევნები მშვიდობიან გარემოში ჩაგვეტარებინა. მშვიდობიანად დამთავრდა საარჩევნო პროცესი იმ რეგიონებში, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ სომხური და აზერბაიჯანული წარმოშობის ჩვენი მოქალაქეები. ეს იმის ნიშანია, რომ ამ ურთულესი და მტკივნეული კონფლიქტის პირობებში, საქართველო კვლავ არის სტაბილურობის კუნძული და ქვეყანა, სადაც კავკასიური თანაცხოვრებისა და ტოლერანტობის ტრადიციები გრძელდება. ვიმედოვნებ, რომ ჩვენ შევძლებთ პოზიტიური როლის შესრულებას იმისათვის, რომ ჩვენს რეგიონში აღდგეს მშვიდობა, რაც სამივე ქვეყნის მომავლისთვის აუცილებელი პირობაა. და ბოლოს, 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებით ქართულმა საზოგადოებამ დაამარცხა ნიჰილიზმი და საკუთარ თავს დაუმტკიცა, რომ პოსტსაბჭოთა ეპოქა საქართველოში სრულდება“, — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში აქტივობა მაღალი იყო

საქართველოს ცსკ-ის ცნობით, 31 ოქტომბრის არჩევნებში ამომრჩეველთა აქტივობამ 56.11% შეადგინა.

როგორც ცსკ-ის პრეს-სპიკერმა ანა მიქელაძემ განაცხადა, 20:00 საათის მდგომარეობით, კენჭისყრაში მონაწილეობა 1 970 540-მა ამომრჩეველმა მიიღო, რაც საერთო რაოდენობის 56,11 %-ს შეადგენს. ცსკ-ის ცნობით, საარჩევნო უბნების დიდი ნაწილი საღამოს 20:00 საათზე დაიხურა, თუმცა რიგ უბნებზე, რიგში იდგნენ ამომრჩევლები და მათ ხმის მიცემის საშუალება 20:00 საათის შემდეგაც მიეცათ. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს ამომრჩეველთა აქტივობა 51,63 %-ს (1, 814, 276 ამომრჩეველს) შეადგენდა.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასწარი მონაცემები გამოაქვეყნა:

„ქართული ოცნება“	— 48.17%;
„ნაციონალური მოძრაობა — ძალა ერთობაშია“	— 27.13%;
„ევროპული საქართველო“	— 3.78%;
„პატრიოტთა ალიანსი“	— 3.15%;
„ლელო“	— 3.16%;
„გიორგი ვაშაძე — სტრატეგია აღმაშენებელი“	— 3.15%;
„გირჩი“	— 2.89%;
„მოქალაქეები“ (ალეკო ელისაშვილი)	— 1.33%;
„ლეიბორისტული პარტია“	— 1%;
„ერთიანი საქართველო“	— 0.85%.

* * *

30 მაჟორიტარიდან, პირველსავე ტურში ბარიერი გადალახა 14-მა „ძართული ოცნების“ წარმომადგენელმა, 16 საარჩევნო ოლქში მეორე ტური, სავარაუდოდ, 21 ნოემბერს გაიმართება.

პირველი შთაბეჭდილებები

ბიძინა ივანიშვილი: „ქართული ოცნება“ როგორც პარტია, მესამედ იმარჯვებს პრინციპულ არჩევნებში

ბიძინა ივანიშვილმა მხარდამჭერებს მიმართა. „ქართული ოცნების“ დამფუძნებელმა და ლიდერმა ამომრჩეველს და პარტიის აქტივისტებსა და ლიდერებს მადლობა გადაუხადა.

„მოდით, მადლობა გადავუხადოთ ჩვენს ამომრჩევლებს, მადლობა გადავუხადოთ „ქართული ოცნების“ აქტივისტებს, ლიდერებს, თქვენ, ახალგაზრდებს. თქვენ მოიტანეთ ეს გამარჯვება. განსაკუთრებით ხაზგასასმელია ის, რომ „ქართული ოცნება“ როგორც პარტია მესამედ იმარჯვებს პრინციპულ არჩევნებში. ის, რაც უნდოდა ჩვენს ქვეყნას — ჩამოყალიბებული, სოლიდური გუნდი, ჩვენ ეს მივიღეთ. და რაც მთავარია, ქართველმა ამომრჩეველმა ძალიან სწრაფად, სხარტი გონებით ისწავლა გარჩევა და ანალიზი, რასაც ევროპელებმა გაცილებით ბევრი დრო მოანდომეს“...

გიორგი გახარია: ჩვენ გავიმარჯვეთ, მადლობა საქართველოს მოქალაქეს, რომელმაც საკუთარი არჩევანი გააკეთა

ჩვენ გავიმარჯვეთ! — ამის შესახებ საქართველოს-პრემიერ მინისტრი გიორგი გახარია სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ ოფიციალურ გვერდზე წერს.

„ჩვენ გავიმარჯვეთ! მადლობა საქართველოს მოქალაქეს, რომელმაც დღეს საკუთარი არჩევანი გააკეთა! ყველამ ერთად, პანდემიის ფონზეც, სანიმუშო, თავისუფალი, ღია და დემოკრატიული არჩევნები ჩავატარეთ. მთელ მსოფლიოს დავანახეთ, რომ ევროპული ცივილიზაციის განუყოფელი ნაწილი ვართ და ვიმსახურებთ დიდ ევროპულ ოჯახში ღირსეულ ადგილს, რომელსაც ყველა ერთად აუცილებლად დავიკავებთ. მადლობა ყველას — ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რომელმაც უზრუნველყო თითოეული ამომრჩევლის ნების აღნუსხვა უსაფრთხო გარემოში; დამკვირებელებს, ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებს, რომელთა მონაწილეობაც ამ პროცესში უმნიშვნელოვანესი იყო; პოლიციას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვის. ჯერ ოფიციალური შედეგები არ გამოცხადებულა, თუმცა, უკვე ვიცით, რომ დღეს გაიმარჯვა საქართველოს მოქალაქემ, რომელსაც უნდა საკუთარი ქვეყნის წინსვლა, მშვიდობიანი, ევროპული მომავალი“, — აცხადებს პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია.**

ქახა კალაძე: პირობას გაძლევთ, რომ ჩვენ ამ პასუხისმგებლობას მომდევნო 4 წლის განმავლობაში ღირსეულად ვატარებთ

მინდა, მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც მოიხადა თავისი მოქალაქეობრივი ვალი. მინდა, მადლობა გადავუხადო ყველა ჩვენს მხარდამჭერს, თანამებრძოლს, — ამის შესახებ **კახა კალაძემ** ეგზიტ-პოლების შედეგების გამოცხადების შემდეგ განაცხადა.

„ჩვენი თანაგუნდელებისთვის ეს ყველაფერი დიდი პასუხისმგებლობაა და პირობას გაძლევთ, რომ ჩვენ ამ პასუხისმგებლობას მომდევნო 4 წლის განმავლობაში ღირსეულად ვატარებთ. კიდევ ერთხელ გამარჯვებას გისურვებთ. ხვალიდან ვაგრძელებთ ქვეყნის განვითარებასა და აღმშენებლობას. არცერთ კრიმინალურ პოლიტიკურ პარტიას არ მიეცემა ხალხის ჩაგვრის შესაძლებლობა, არ მიეცემა ის ბოროტება, რაც ჩვენ ყველამ ერთად 2012 წელს დავამარცხეთ“, — განაცხადა **კახა კალაძემ.**

* * *

ვფიქრობ, ჩემი ქვეყნისთვის კარგია, რომ მომდევნო პარლამენტი იქნება შემდგარი ბევრი პოლიტიკური პარტიისგან. ეს პოლიტიკური თვალსაზრისით, არის წინ გადადგმული ნაბიჯი.

„ნამდვილად მისასალმებელია, იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ 2024 წლის არჩევნებზე ჩვენ უკვე მთლიანად ახალ საარჩევნო სისტემაზე გადავდივართ, ვფიქრობ ეს ძალიან კარგი შედეგია. იმ თვალსაზრისით, რომ ბევრ პოლიტიკურ პარტიას, რომელსაც ჰქონდა მხარდაჭერა ადამიანების მხრიდან, ექნებათ შესაძლებლობა საკუთარი თავი პარლამენტში წარმოაჩინონ“.

ილჰამ ალიევმა გიორგი გახარიას საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვება მიულოცა

აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა საქართველოს პრემიერ-მინისტრს გიორგი გახარიას დაურეკა, ინფორმაციას ამის შესახებ აზერბაიჯანული მედია ავრცელებს.

აზერბაიჯანული მედიის ინფორმაციით, ილჰამ ალიევმა გიორგი გახარიას „ქართული ოცნების“ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება მიულოცა.

სუამის საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი: საპარლამენტო არჩევნები შეიძლება შეფასდეს როგორც თავისუფალი და სამართლიანი

„პარლამენტის არჩევნები საქართველოში ჩატარდა დემოკრატიული არჩევნების საერთაშორისო ვალდებულებების და სტანდარტების, ეუთოს და ევროსაბჭოს სტანდარტების, ასევე ეროვნული კანონმდებლობის, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ შემუშავებული პროცედურებისა და წესების შესაბამისად“,** — განაცხადა სუამის საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა, აზერბაიჯანის დელეგაციის ხელმძღვანელმა, **ელნურ ალავერდიევმა** 31 ოქტომბერს ჩატარებული საქართველოს პარლამენტის არჩევნების პროცესის შეფასებისას.

მისი თქმით, სუამის დამკვირვებელთა ჯგუფს არ აქვს არსებითი შენიშვნები საყოველთაო საარჩევნო პროცესზე, არჩევნების ორგანიზებასა და კომისიების საქმიანობაზე საარჩევნო უბნებზე, სადაც მისივე თქმით, საარჩევნო უბნებზე ამომრჩეველთათვის შექმნილი იყო პირობები თავისუფალი ნების გამოსახატად, შეინიშნებოდა ამომრჩეველთა აქტიურობა.

„არჩევნები შეიძლება შეფასდეს როგორც თავისუფალი და სამართლიანი“, — განაცხადა **ელნურ ალავერდიევმა.**

თურქეთი საქართველოში არჩევნების მშვიდობიანად ჩატარებას მიესალმება

თურქეთი საქართველოში საპარლამენტო არჩევნების მშვიდობიანად ჩატარებას მიესალმება. **„ჩვენ კმაყოფილები ვართ, რომ არჩევნები მშვიდობიანად და მშვიდად ჩატარდა მთელი ქვეყნის მასშტაბით“,** — ამის შესახებ ნათქვამია თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში. ამასთან, განცხადებაში ნათქვამია, რომ ანკარა საუკეთესოს უსურვებს მეგობარ საქართველოს და დარწმუნებულია, რომ ერთობლივი ძალისხმევით, ორმხრივი ურთიერთობები ყველა სფეროში განვითარდება.

აქსელ ფიშერი: ვულოცავ ქართველ ხალხს თავისუფალ და დემოკრატიულ არჩევნებს

ვულოცავ ქართველ ხალხს თავისუფალ და დემოკრატიულ არჩევნებს. ოფიციალური ინფორმაციით, ბოლო საარჩევნო რეფორმის წარმატებით განხორციელების შემდეგ 9-მდე პარტია შევა პარლამენტში, — ამის შესახებ ბუნდესტაგის დეპუტატი **აქსელ ფიშერი** Facebook-ზე წერს. დეპუტატის თქმით, ამომრჩევლებმა მესამეჯერ დაადასტურეს „ქართული ოცნების“ მთავრობის მანდატი რაც აქამდე მიღწევების აღიარების გარდა, ასევე, სპეციალური პასუხისმგებლობაა რეფორმის ტემპზე.

„უკვე მოუთმენლად ველოდები ჩემს ძველ და ახალ კოლეგებთან ერთად საქართველოს პარლამენტში მუშაობას. ამჟამად ვფიქრობ, გამოხატული მანიპულაციის ბრალდებები უსამართლობას დაამტკიცებენ“, — წერს **აქსელ ფიშერი.**

ტინი კოქსი: ეს არჩევნები თავისუფალი იყო

საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო თავისუფალი არჩევნები. არაერთ არჩევნებზე ვყოფილვართ დამკვირვებლებად და გვინახავს არათავისუფალი არჩევნებიც, მაგრამ ეს არჩევნები თავისუფალი იყო. რაც შეეხება სამართლიანობას, ვერ ვიტყვით, რომ ეს არასამართლიანი არჩევნები იყო, მაგრამ ბევრი ასპექტი საჭიროებს გაუმჯობესებას, — ამის შესახებ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის ხელმძღვანელმა, ნიდერლანდელმა დეპუტატმა, ტინი კოქსმა განაცხადა.

„მართალია, ყოველი არჩევნებით იწერება ქვეყნის ისტორია, მაგრამ არ არის აუცილებელი ყოველ წელს გამოცდის ჩაბარება. პოლიტიკოსებს აქვთ ვალდებულება, დაიცვან კონსტიტუცია და თავისუფალი არჩევნები ჩაატარონ. ეს წაიყვანს საქართველოს პროგრესისკენ. ჩვენ ვაკვირდებით იმას, რამდენად აკმაყოფილებს არჩევნები საჭირო კრიტერიუმებს. საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო თავისუფალი არჩევნები. არაერთ არჩევნებზე ვყოფილვართ დამკვირვებლებად და გვინახავს არათავისუფალი არჩევნებიც, მაგრამ ეს არჩევნები თავისუფალი იყო. რაც შეეხება სამართლიანობას, ვერ ვიტყვით, რომ ეს არასამართლიანი არჩევნები იყო, მაგრამ ბევრი ასპექტი საჭიროებს გაუმჯობესებას. ღარიბ ქვეყანაში საარჩევნო კამპანიისას დიდი თანხები იხარჯება. ამ მიმართულებით არაა დაწესებული არანაირი ლიმიტი. ამიტომ ხშირად ვითხოვთ, რომ ამ კუთხით დაწესდეს რაღაც შეზღუდვები. მოქალაქეებმა ასევე უნდა იცოდნენ, საიდან მოდის ეს თანხა. საბოლოო ჯამში, მისალოცია, რომ არჩევნებმა მშვიდობიანად ჩაიარა, რაც ხშირად არ ხდება“...

საზღვარგარეთელი ქართველები სამშობლოზე აღარ ოცნებობენ?!

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საპარლამენტო არჩევნებისთვის საზღვარგარეთ გახსნილი უბნების შედეგები გამოაქვეყნა.

ავსტრია, ვენა — „ნაციონალური მოძრაობა“ — 109, „ქართული ოცნება“ — 46;
აშშ, ვაშინგტონი — „ნაციონალური მოძრაობა“ — 58, „ქართული ოცნება“ — 52;
ბელარუსი, მინსკი — „ნაციონალური მოძრაობა“ — 36, „ქართული ოცნება“ — 69;
ბელგია, ბრიუსელი — „ნაციონალური მოძრაობა“ — 107, „ქართული ოცნება“ — 93;
ბულგარეთი, სოფია — „ნაციონალური მოძრაობა“ — 5, „ქართული ოცნება“ — 14;
გერმანია, ბერლინი — „ნაციონალური მოძრაობა“ — 126, „ქართული ოცნება“ — 131;
გერმანია, მაინის ფრანქფურტი - „ნაციონალური მოძრაობა“ — 106, „ქართული ოცნება“ — 60;
გერმანია, მიუნხენი — „ნაციონალური მოძრაობა“ — 154, „ქართული ოცნება“ — 40;
დანია, კოპენჰაგენი — „ნაციონალური მოძრაობა“ — 11, „ქართული ოცნება“ — 9;
დიდი ბრიტანეთი, ლონდონი — „ნაციონალური მოძრაობა“ - 139, „ქართული ოცნება“ — 66;
ესპანეთი, მადრიდი — „ნაციონალური მოძრაობა“ — 130, „ქართული ოცნება“ — 56;
ესპანეთი, ბარსელონა — „ნაციონალური მოძრაობა“ — 379, „ქართული ოცნება“ — 147;
ესტონეთი, ტალინი — „ნაციონალური მოძრაობა“ — 32, „ქართული ოცნება“ — 16;
თურქეთი, ანკარა — „ნაციონალური მოძრაობა“ — 115, „ქართული ოცნება“ — 42;
თურქეთი, სტამბოლი — „ნაციონალური მოძრაობა“ — 253, „ქართული ოცნება“ — 51;
თურქეთი, ტრაპიზონი — „ნაციონალური მოძრაობა“ — 100, „ქართული ოცნება“ — 73;
ირლანდია, დუბლინი — „ნაციონალური მოძრაობა“ — 47, „ქართული ოცნება“ — 26;
ისრაელი, თელ-ავივი — „ნაციონალური მოძრაობა“ — 233, „ქართული ოცნება“ — 152;
იტალია, რომი — „ნაციონალური მოძრაობა“ — 167, „ქართული ოცნება“ — 105;
იტალია, ბარი — „ნაციონალური მოძრაობა“ — 286, „ქართული ოცნება“ - 51;
კანადა, ოტავა— „ნაციონალური მოძრაობა“ — 16, „ქართული ოცნება“ — 5;
კვიპროსი, ნიქოზია — „ნაციონალური მოძრაობა“ — 46, „ქართული ოცნება“ — 9;
ლატვია, რიგა — „ნაციონალური მოძრაობა“ — 13, „ქართული ოცნება“ — 18;
ნიდერლანდები, ჰააგა — „ნაციონალური მოძრაობა“ — 58, „ქართული ოცნება“ — 16;
პოლონეთი, ვარშავა - „ნაციონალური მოძრაობა“ - 72, „ქართული ოცნება“ — 26;
პორტუგალია, ლისაბონი — „ნაციონალური მოძრაობა“ - 14, „ქართული ოცნება“ — 15;
საბერძნეთი, ათენი — „ნაციონალური მოძრაობა“ — 407, „ქართული ოცნება“ — 196;
საბერძნეთი, ათენი — „ნაციონალური მოძრაობა“ — 369, „ქართული ოცნება“ — 91;
საბერძნეთი, ათენი — „ნაციონალური მოძრაობა“ — 387, „ქართული ოცნება“ — 91;
საფრანგეთი, პარიზი - „ნაციონალური მოძრაობა“ — 113, „ქართული ოცნება“ — 69;
სომხეთი, ერევანი - „ნაციონალური მოძრაობა“ — 4, „ქართული ოცნება“ — 20;
უზბეკეთი, ტაშკენტი — „ნაციონალური მოძრაობა“ — 6, „ქართული ოცნება“ — 33;
უკრაინა, კიევი — „ნაციონალური მოძრაობა“ — 183, „ქართული ოცნება“ — 49;
უკრაინა, ოდესა — „ნაციონალური მოძრაობა“ - 105, „ქართული ოცნება“ — 81;
უნგრეთი, ბუდაპეშტი — „ნაციონალური მოძრაობა“ - 0, „ქართული ოცნება“ — 38;
ქუვეითი, ელ-ქუვეითი — „ნაციონალური მოძრაობა“ — 4, „ქართული ოცნება“ — 18;
ყაზახეთი, ნურ-სულთანი — „ნაციონალური მოძრაობა“ — 14, „ქართული ოცნება“ — 17;
შვედეთი, სტოკჰოლმი — „ნაციონალური მოძრაობა“ —111, „ქართული ოცნება“ — 22;
შვეიცარია, ბერნი — „ნაციონალური მოძრაობა“ — 24, „ქართული ოცნება“ — 27;
ჩეხეთი, პრაღა — „ნაციონალური მოძრაობა“ — 34, „ქართული ოცნება“ — 29;
ყატარი, დოჰა — „ნაციონალური მოძრაობა“ — 13, „ქართული ოცნება“ — 17;
ჩინეთი, პეკინი — „ნაციონალური მოძრაობა“ — 1, „ქართული ოცნება“ — 8;
ნორვეგია, ოსლო — „ნაციონალური მოძრაობა“ — 5, „ქართული ოცნება“ — 3;

ავღანეთში ქართველი სამხედროების უმეტესობამ არჩევანი მმართველი გუნდის სასარგებლოდ გააკეთა

ირაკლი კობახიძის თქმით, ავღანეთში არჩევნების შესახებ ყალბი ინფორმაცია გავრცელდა, — ამის შესახებ „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. მისი თქმით, დილიდან ვრცელდებოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თითქოს ოპოზიციამ ავღანეთის უბნებზე არჩევნები ძალიან დიდი უპირატესობით მოიგო მაშინ, როდესაც რეალურად არჩევნები ჯერ ჩატარებული არ იყო და ახლა დასრულდა.

„გვინდა გაგაცნოთ ამ უბნების მონაცემები. პირველი ეს არის მაზარ-ი-შარიფის უბანი, სადაც „ქართულმა ოცნებამ“ აიღო 111 ხმა, რაც არის 84,7%; რაც შეეხება მეორე ბაზას, ეს არის ბაგრამი-ქაბულის ბაზა. აქ „ქართულმა იცნებამ“ აიღო 697 ხმა, რაც არის 93%. ეს არის ქართული ჯარის, ქართველი ჯარისკაცების მიერ საქართველოს ხელისუფლების მიმართ გამოცხადებული ძალიან მნიშვნელოვანი ნდობა, რაც არის ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი. მადლობას ვუხდით ქართველ ჯარისკაცებს გამოცხადებული ნდობისთვის და ეს გვაძლევს დამატებით მოტივაციას იმისთვის, რომ კიდევ უფრო მეტად ვიზრუნოთ ჩვენი თავდაცვისუნარიანობის და ქართული ჯარის გაძლიერებაზე“, — განაცხადა კობახიძემ.

თამარ ჟვანიამ ცესკოში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებს მიმართა

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ თამარ ჟვანიამ ცესკოში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებს მიმართა.

„მოვუწოდებ საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებს, მოვიდნენ აქ. მათ ძალიან კარგად იციან, რომ წინასწარი შედეგები არ ნიშნავს საბოლოო შედეგებს, ყველა ცივილურ ქვეყანაში ასე ცხადდება წინასწარი შედეგები, შემდგომ ხდება საბოლოოდ ჩამოყალიბება და საბოლოო წინასწარი შედეგების გამოცხადება. მოვუწოდებ ადგილობრივ დამკვირვებლებს, იმ პირებს, რომლებიც არ არიან პოლიტიკურად დაინტერესებული მხარეები, ძალიან ვთხოვ ყველას, მისცენ საშუალება საარჩევნო ადმინისტრაციას, მათ შორის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რომ დათვალონ ხმები, ზუსტად ისე, როგორც წლების განმავლობაში ითვლებოდა აბსოლუტურად სწორად და ეს დასტურდებოდა არასამთავრობო ორგანიზაციების პარალელური დათვლის შედეგებით“.

კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოში საპარლამენტო არჩევნების მეორე ტური 21 ნოემბერს უნდა გაიმართოს

კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოში საპარლამენტო არჩევნების მეორე ტური 21 ნოემბერს უნდა გაიმართოს. „საარჩევნო კოდექსის“ გათვალისწინებით, საპარლამენტო არჩევნების მეორე ტური მესამე შაბათს იმართება. კანონის მიხედვით, მეორე ტურში მონაწილეობას მიიღებს ორი კანდიდატი, რომელთაც პირველ ტურში სხვებზე მეტი ხმა მიიღეს. არჩევნების წინასწარი შედეგების მიხედვით, ზოგიერთ საარჩევნო ოლქში, მათ შორის თბილისში, მეორე ტური გაიმართება.

◎ ლარიზაციიდან — საპენსიო რეფორმამდე

ბოლო მოწვევის პარლამენტის ყველაზე საკამათო ეკონომიკური რეფორმები

გასული 4 წლის განმავლობაში დეპუტატებმა რამდენიმე მნიშვნელოვანი ეკონომიკური კანონი მიიღეს, ნებსით თუ უნებლიედ ვექტორი მარცნივ გადაიხარა

გადასახადების ზრდის შესაძლებლობის დაკანონება

2017 წელს პარლამენტმა საკონსტიტუციო ცვლილებები მიიღო. ძველი რედაქციით 94-ე მუხლი, რომელიც რეფერენდუმის გარეშე, აქციზის გარდა გადასახადების ზრდას და ახალი გადასახადის დაწესებას კრძალავდა, დაკნინდა და 12-წლიანი ვადით განისაზღვრა. ცვლილებების ინიციატორების განცხადებით, კონსტიტუციის ძველი რედაქცია პარლამენტის როლს აკნინებდა, რაც საპარლამენტო რესპუბლიკაში მიუღებელი იყო. მათი მტკიცებით მთავრობასა და საკანონმდებლო ორგანოებს უნდა ჰქონოდათ უფლება დამოუკიდებლად, მოსახლეობის უკითხავად განესაზღვრათ ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა. გია ჟორჟოლიანმა მუხლს „ავტორიტარიზმისკენ გადადგმული ნაბიჯიც“ კი უწოდა. მუხლის საერთოდ გაუქმების მომხრეთა განცხადებით, დაბალი გადასახადები პანაცეა არ იყო. იმ ფაქტს, რომ დაბალი გადასახადები ეკონომიკური განვითარებისთვის არასაკმარისი პირობაა, კანონის ძველი რედაქციის მომხრეებიც აღიარებდნენ, თუმცა მათი განმარტებით დაბალი გადასახადები სწრაფი ეკონომიკური ზრდისთვის არა ერთადერთი, მაგრამ ერთ-ერთი სასიცოცხლო წინაპირობა იყო. საბოლოოდ ჩაიწერა 12-წლიანი დათქმა. რაც იმას ნიშნავს, რომ 2029 წლიდან მთავრობას პარლამენტის თანხმობით გადასახადების ზრდა შეეძლება.

გადასახადებზე საუბრისას მნიშვნელოვანია იმ მარტივი ჭეშმარიტების გაგება, რომ ბენ ფრანკლინი მართალი იყო — ადამიანი სიკვდილის მსგავსად ვერც გადასახადებს გაექცევა, მაშინაც კი, თუ არ მუშაობს და არც ბიზნესი აქვს. აქციზი და დღგ ირიბი გადასახადებია. როდესაც პირი რამეს ყიდულობს, ის რეალურად ამ გადასახადებსაც იხდის. დღგ-ს განაკვეთი 18%-ს შეადგენს და ნივთი, რომელიც მის გარეშე 1 ლარი ეღირებოდა, 1.18 ლარად იყიდება. ამ გზით 50-თეთრიანი კალმის ფასი 59 თეთრამდე იზრდება, 3500-ლარიანი ტელევიზორის — 4130 ლარამდე. 1 კოლოფ სიგარეტში აქციზის საფასური 1.70 ლარს შეადგენს, 1 ლიტრ ბენზინში — 38 თეთრს, ხოლო 2020 წლის მეორე კვარტლის მონაცემებით საქართველოში საშუალო ხელფასი 1150 ლარს შეადგენს, რისიც ბევრს არ სჯერა. საქმე ის არის რომ ეს დარიცხული თანხაა, რომელიც სავალდებულო საპენსიო შენატანისა და საშემოსავლოს დაქვითვის შემდეგ 900 ლარამდე მცირდება.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის უცხო ქვეყნის მოქალაქეზე მიყიდვის აკრძალვა

2017 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად კიდევ ერთი შეზღუდვა დაწესდა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე მიყიდვა აიკრძალა. ცვლილების ინიციატორები სავარგულის გაყიდვას ლამის ტერიტორიის უცხო ქვეყნისთვის გადაცემასთან აიგივებდნენ და არაფერს ამბობდნენ იმ ფაქტზე, რომ გაყიდულ მიწაზე ისევ საქართველოს კანონმდებლობა გავრცელდებოდა და მისი უცხოელი მფლობელი ისევ ქართული კანონმდებლობით დაიბეგრებოდა. ცვლილებების მომხრეებს არც ის განუმარტავთ, რატომ არის მისაღები ურბანული მიწის გაყიდვა, სადაც შესაძლებელია პირობითად სასტუმროს აშენება და რატომაა მიუღებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გაყიდვა, სადაც მის უცხოელ მფლობელს შეეძლო ასევე პირობითად სიმინდი ან პომიდორი მოეყვანა. ცნობილია, რომ თხილის ექსპორტის ზრდას იტალიურმა Ferrero-მ შეუწყო ხელი, რომელმაც დასავლეთ საქართველოში 3000 ჰა მიწა შეიძინა. ოპონენტების არგუმენტმა, მიწა იმიტომ ღირს იაფი, რომ მოთხოვნაა დაბალი და თუ არ ავკრძალავთ გაყიდვას, მოთხოვნასთან ერთად ფასიც გაიზრდება, რის გამოც გამორიცხულია მთელი მიწები უცხოელებს ჩაუვარდეთ ხელთო, არ გაჭრა.

მიწის გაყიდვის შეზღუდვას ამომრჩეველს ქართული ოცნება ჯერ კიდევ 2012 წელს ჰპირდებოდა. პირველი მორატორიუმი 2013 წელს გამოცხადდა. ნორმა ავსტრიის მოქალაქემ საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა. 2014 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ შეზღუდვა არაკანონიერად სცნო.

იხ. 7 გვ.

ქოცებო, რა უცნაურია ეს ალტაცება!..

ცვლილებები, რომელიც უნდა მოხდეს!

უბრალოდ ვიტყვი: მე და ჩემთვის ძვირფასი ადამიანები არჩევნებზე ვიყავით.

ვიყავით და ჩვენი არჩევანი გავაკეთეთ.

ახლა მოგახსენებთ, თუ რატომ ვიყავი: ვიყავი იმიტომ, რომ მედროვეების და უკვე მრავალგზის ჩარეცხილების დრო დამთავრდეს (რალა დაგიმალოთ და მიHას მოგონილი სიტყვა ბევრს დღესაც მიესადაგება).

ვიყავი იმიტომ, რომ პოლიტიკურ სივრცეში დამყარდეს ეროვნულ ფასეულობებთან შერწყმული ნამდვილი დასავლური დემოკრატია.

ვიყავი იმიტომ, რომ დამთავრდეს წყეული კოჰაბიტაცია და ხალხს ღირსება დაუბრუნდეს.

ვიყავი იმიტომ, რომ ეს ჩემი, ჩემი შვილების და მომავალზე მოფიქრალი ყველა ადამიანის სამშობლოა (სამშობლო და არა სახელმწიფო, ან ქვეყანა!!!).

და კიდევ მრავალი მიზეზის გამო ვიყავი არჩევნებზე და გამოვიყენე უზენაესისგან (დიახ, სწორედაც უზენაესისგან და არა ვინმე კონსტიტუციონალისტისგან) მონიჭებული არჩევანის უფლებას!

სამწუხაროდ, საქართველოს მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა (ზარმაცი ხალხი, ვინც მზად არის ქალაქის მეორე ბოლოში წავიდეს ერთი ჭიქა არყის გამო და იქვე საარჩევნო უბანზე არ მივა) და ცხადია კოჰაბიტაციამ საკმაოდ უცნაური შედეგი დადო.

25% ნაცები, შალიკოები, ჯუნიორები, ევრონაცები, დიდი ბურჯანი, გირჩი, ლელო თავიანთი 1-3 %-ით. ელისაშვილმა მეც მანდ ვარო!

„ევროპული საქართველო“ — 4 მანდატი: გიგი უგულავა, ტარიელ ლონდარიძე, ლევან თარხნიშვილი, გოჩა გურგუჩიანი.

„ლელო“ — 4 მანდატი მამუკა ხაზარაძე; ბადრი ჯაფარიძე; დავით უსუფაშვილი; ანა ნაცვლიშვილი.

გიორგი ვაშაძე „სტრატეგია აღმაშენებლი“ — 4 მანდატი: გიორგი ვაშაძე, თაკო ჩარკვიანი, პაატა მანჯგალაძე, თეონა აქუბარდია.

„გირჩი“ 3 მანდატი — ზურაბ გირჩი ჯაფარიძე, იაგო ხვიჩია, ვახტანგ მეგრელიშვილი;

ალეკო ელისაშვილის პარტია 1 მანდატი — ელისაშვილი.

„ლეიბორისტები“ 1 მანდატი — შალვა ნათელაშვილი.

მდააა...

ვერაფრით ვიჯერებ ნაცების 23 და პატრიოტების 3 პროცენტს. წესით, პირიქითაა!

და ამ ფონზე ხელისუფლება აღტაცებულია, გავიმარჯვეთო!!!

საკმაოდ უცნაური აღტაცებაა.

ახლა ამაზე არაფერს დავწერ, რადგანაც კიდევ ბევრი რამე იცვლება (არა შედეგებით, არამედ შინაგანი განწყობით) და ამ არჩევნების სრულ ანალიზს მოგვიანებით შემოგთავაზებთ.

ახლა კი რამდენიმე მარტივ თემას მინდა შევეხო:

ის რაც, ნაცების, ნაცტელევიზიებისა თუ ე.წ. არასამთავრობო არსებების მხრიდან ისმოდა, ცა და დედამიწასავით განსხვავდება იმ რეალობისგან, რაც მე ჩემი თვალით ვნახე (ვიმეორებ — ჩემი თვალით და არა გვარამიას მონების, თუ ვინმე ეკაგიგაურ-სალაძის თვალით).

დამერწმუნეთ, ძალიან ადვილია იმ ყველაფრის დადგმა, რასაც ეს „ტელევიზიები“ გვაჩვენებდნენ.

სრული იდიოტიზმია ის „შემართება“ როგორითაც ნაცლიდერები ლაყბობდნენ და დღესაც „ბლატაობენ“.

პირდაპირ ვამბობ: მიუხედავად იმ არასასიამოვნო ციფრებისა, რასაც ვხედავთ და იმ რაოდენობისა, რითიც შალიკოს ფაჩანტური პარლამენტში შევა, მათ მაინც წააგეს!

წააგეს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მათ არჩევნების მოგება კი არა, დესტაბილიზაცია სურდათ, რაც აშკარად ჩანდა მთელი წინასაარჩევნო პროცესის პერიოდში.

არ გამოვა ეგ საქმე! არ გამოვა!

დღეს უკვე დამთავრდა ის ჰერმაფროდიტული მდგომარეობა, რაც კოჰაბიტაციამ მოიტანა.

გაგიკვირდებათ და იტყვით — როგორ დამთავრდა, როცა ამდენი უსაქმური მედროვე პარლამენტში მოკალათდაო.

დამთავრდა, რადგანაც თუ ამის შემდეგ, ხელისუფლება სათანადოდ არ დასჯის გვარამიას თუნდაც პროკურატურასთან ქალბატონზე ხელით შეხების გამო, თუ კიდევ ვნახავთ კოჰაბიტაციის გამო ციხიდან გამოშვებულ ბიუჯეტის ქურდებს, თუ კვლავ იქნება სავსე ადმინისტრაციები მოძალადეთა მიმართ ტრფობით დამწვარი ხალხით, საზოგადოება იძულებული გახდება საკუთარი თავი თავად დაიცვას.



ეს კი ერთი-ორი პროვოკატორის ფაფხურზე გაცილებით მძიმე შედეგებს მოიტანს როგორც ხელისუფლებისთვის, ასევე იმ ნაძირლებისთვის, რომლებიც ვერაფრით მოვიშორეთ.

ყველა პროვოკატორი, ვინც არ უნდა იყოს ის, პოლიტიკოსი, ჟურნალისტი, პოლიტოლოგ-ანალიტიკოსი თუ ნებისმიერი სხვა მოქალაქე, მკაცრად აგებს პასუხს იმ სიბინძურისთვის, რასაც თესავენ!

მე 31-ში ხმა ამ ცვლილებას მივეცი!

გია გაბრიჭიძე

რა უჯდება ბიუჯეტს არჩევნები და პოლიტიკური პარტიების შენახვა?

რას უძლებს ხალხის ჯიბე!..

არჩევნებს, ისევე როგორც სხვა დანარჩენ პროდუქტს თუ მომსახურებას თავისი ფასი აქვს. ხარჯი ორგვარია: პირდაპირი, რაც გულისხმობს ბიულეტენების ბეჭდვას, საარჩევნო კომისიის წევრებისთვის ხელფასების გადახდას, სარეკლამო დროს, ტრანსპორტირებას, კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების დაფინანსებას... ასევე პარტიების მხრიდან კამპანიაზე გაწეულ ხარჯებს. და მეორე, ირიბი — განვითარებად ქვეყნებში, სადაც მაღალია მოულოდნელობის კოეფიციენტი, წინასაარჩევნოდ ეკონომიკური აქტივობა მცირდება. მთავრობებს კი სოციალური ხარჯების ზრდის ცდუნება სძლევთ ხოლმე.

პირველი და ყველაზე ადვილად დასათვლელი ცესკოს გაზრდილი ხარჯია. არჩევნების პერიოდში საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები ერთჯერად ანაზღაურებას იღებენ, ცესკოს თანამშრომლები კი გაორმაგებულ ხელფასს. **2018 წელს საპრეზიდენტო არჩევნებზე, ცესკოს ხარჯმა 72 მლნ ლარს გადააჭარა, 2019 წელს, როდესაც ქვეყანაში არჩევნები არ იყო, მისი ხარჯი თითქმის 45 მლნ-ით, 27.5 მლნ-მდე შემცირდა, 2020 წელს უწყებაზე ისევ 72.5 მლნ ლარია გამოყოფილი.**

პოლიტიკური პარტიები ბიუჯეტიდანაც ფინანსდებიან. განახლებული ფორმულით დაფინანსებას მიიღებს ის პარტია, რომელიც გადალახავს 1%-იან ბარიერს. **პირველ 50 000 ხმაზე პარტია მიიღებს ხმაზე 15 ლარს, შემდეგ კი 5 ლარს. ანუ თუ პარტიამ მიიღო 40 000 ხმა, ის 600 000 ლარით დაფინანსდება (40 000715), თუ 90 000 ხმა - 950 000 ლარით (50 000715+40 00075). 0.5 მლნ ხმის შემთხვევაში დაფინანსება 3 მლნ ლარს აღწევს. იმის გათვალისწინებით, რომ დაფინანსება ორსაფეხურიანია, სულ რა თანხა გამოიყოფა პარტიების დაფინანსებაზე ძნელი სათქმელია. 1%-იანი ბარიერის პირობებში პირველ 15-ლარიან საფეხურზე დატვირთვა გაიზრდება. მცირე ზომის პარტიების ხარჯზე დაფინანსების მოცულობა სავარაუდოდ 10 მლნ ლარს გადააჭარბებს.**

განსხვავებული იყო დაფინანსება 2016 წლის არჩევნებზე, სადაც სავალდებულო იყო 3%-იანი ბარიერის გადალახვა. იმ პარტიებისთვის, რომლებმაც პარლამენტში მოსახვედრი 5%-იანი ბარიერი ვერ გადალახეს, საბაზისო დაფინანსება 300 000 ლარს შეადგენდა და მას 1 ხმაზე 1.5 ლარი ემატებოდა. ლეიბორისტულმა პარტიამ 55 ათასი ხმის მიღება შეძლო, შესაბამისად 382 ათასლარიანი დაფინანსება მიიღო (300 000+55 00071.5). წელს იმავე ოდენობის ხმების მიღების შემთხვევაში პარტია პარლამენტშიც მოხვდება და დაფინანსებაც გაუორმაგდება. იმავე არჩევნების შედეგებზე დაყრდნობით ქართულმა ოცნებამ 2.08 მლნ ლარიანი დაფინანსება მიიღო, ნაციონალურმა მოძრაობამ — 1.22 მლნ-იანი, პატრიოტთა ალიანსმა — 744 ათას ლარიანი, თავისუფალმა დემოკრატებმა 512 ათას ლარიანი. თანხები ერთჯერადი არაა და ყოველწლიურად შემდგომ არჩევნებამდე გაიცემა.

ბოლო საპარლამენტო არჩევნები 2016 წელს პარტიებს 40 მლნ ლარი დაუჯდათ. ამ თანხის ნახევარზე მეტი - 22 მლნ ლარი „ქართულმა ოცნებამ“ დახარჯა. მეორე ადგილზე გასულმა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ კი 2.5 მლნ ლარი. 2.4 მლნ ლარი დახარჯა „პატრიოტთა ალიანსმა.“ 1.9 მლნ ლარი „თავისუფალმა დემოკრატებმა“. მათ 5%-იანი ბარიერი ვერ გადალახეს.

უფრო ადრე 2012 წელს მმართველმა ნაციონალურმა მოძრაობამ არჩევნებამდე ბოლო 2 თვეში 19 მლნ ლარი დახარჯა, იმ დროს მთავარმა ოპოზიციურმა ძალამ ქართულმა ოცნებამ კი — 3-ჯერ ნაკლები. პარტიის დამფუძნებელსა და ლიდერს — ბიძინა ივანიშვილს საკუთარი სახსრების გამოყენების საშუალება დიდწილად არ მიეცა. პარტიის ქმედებათა უმრავლესობას აუდიტის სამსახური ჯარიმით პასუხობდა.

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე კანდიდატებმა კამპანიისთვის ოფიციალურად 6.9 მლნ ლარი დახარჯეს. მათ შორის 4.1 მლნ სალომე ზურაბიშვილმა, 1.5 მლნ გრიგოლ ვაშაძემ და 0.9 მლნ დავით ბაქრაძემ. ამავე მიმდევრობით განაწილდა მიღებულ ხმათა რაოდენობაც.

როგორც ამჟამინდელ, ასევე წინა ხელისუფლებას მუდმივად ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაში ადანაშაულებენ და ადანაშაულებდნენ. ოპოზიციისა და არასამთავრობოთა დიდი ნაწილის მტკიცებით მართველ გუნდს საჯარო მოხელეები აგიტატორებად ჰყავს გადაქცეული და გარდა იმისა, რომ ამით კანონი ირღვევა, ისინი ზოგავენ იმ ფულს, რომელიც ცალკე აგიტატორებისთვის უნდა ეხადათ. მათივე განცხადებით ხშირ შემთხვევაში სამსახურეობრივი ავტომობილი, რომლის საწვავის ფულიც ბიუჯეტიდან იფარება, ხშირ შემთხვევაში პარტიულ ინტერესებს ხმარდება.

არჩევნების წელს როგორც წესი სუბსიდიები, პენსიები და სოციალური დახმარებები იზრდება ხოლმე. თუ 2011 წელს რძაწითელის ფასი 60-65 თეთრს შეადგენდა, 2012 წელს 1 ლარი გახდა იმიტომ, რომ სუბსიდიის მოცულობა გასამმაგდა და 3.1 მლნ-დან 9.4 მლნ ლარამდე გაიზარდა. 2020 წელს პენსია 20 ლარით, 70 წელს გადაცილებული პირებისთვის კი 50 ლარით გაიზარდა. ასევე გაიზარდა პოლიციელების, სამხედროებისა და მასწავლებლების ხელფასები. მთავრობის განცხადებით არჩევნები არაფერ შუაშია, საპირისპიროს ამტკიცებს ოპოზიცია.

ყველაზე დიდი ხმაური 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ ფონდ „ქართუს“ მიერ ვალების განულების პროგრამას მოჰყვა. „ქართუს“ ეს პროგრამა 37.5 მლნ ლარი დაუჯდა, მაგრამ წარმოჩინდა ისე, რომ 4.1 მლრდ-ს ვალები დაიფარა. თანხა ამ ზომამდე მასზე მიწერილმა ჯარიმებმა და საურავებმა გაზარდა, მათი უდიდესი ნაწილი უიმედო იყო და საკრედიტო ორგანიზაციებს უკვე ზარალში ჰქონდათ გატარებული. 2020 წელს დამატებითი ბრალდებები უკვე კოვიდთან ბრძოლის პროგრამის მიმართ გაისმა.

განვითარებად ქვეყნებში წინასაარჩევნო პერიოდში, მოლოდინის რეჟიმის გათვალისწინებით ეკონომიკური აქტივობაც მცირდება, რაც განსაკუთრებით უცხოურ ინვესტიციებზე აისახება. მაგრამ რადგან ინვესტირების მოცულობა სხვა ბევრ ფაქტორზეცაა დამოკიდებული, იმის დადგენა თუ რამდენია მასში არჩევნების წილი ძნელია, მით უმეტეს წარმოუდგენელია წელს პანდემიის პირობებში.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ დეკლარირებული ხარჯი: ცესკოს გაზრდილი დაფინანსება პლუს პარტიების საარჩევნო კამპანია და პარტიების დაფინანსება, 90-95 მლნ ლარის ფარგლებში მერყეობს, ხოლო ირიბი ხარჯი, რომლის ზუსტი დადგენაც შეუძლებელია, მას რამდენჯერმე აღემატება.

გიორგი ელიზბარაშვილი

რაც უფრო ამაზრზენია ტყუილი, მით უფრო ადვილია მისი დაჯერება!

„პროპაგანდისტული ტყუილი დაუსრულებლად უნდა იმეორო. ძნელია, არ მოინუსხო ტყუილის მაგიით, თუკი ხედავ, რომ მას სულ უფრო მეტი ადამიანი იჯერებს!

ეს სიტყვები ეკუთვნის გერმანიის სახალხო განათლების რაიხსმინისტრს, იმპერიის კულტურის პალატის (და, ალბათ, ოპერის მოყვარულთა საზოგადოების) პრეზიდენტს, ნაცისტ დამნაშავეს და პროპაგანდის „მამას“ პაულ იოზეფ გიობბელს, რომელსაც ყველა გებელსად მოიხსენიებს. მან ხელში ჩაიგდო მასმედიის, მათ შორის რადიოსა და ტელევიზიის სადავეები, რასაც მასების ადვილად დამორჩილების მიზნით იყენებდა (ღმერთო, რა ნაცნობი ფენომენია). ამასთან, მან ნაცისტების სიმბოლოს — „სვასტიკის“ (ჩვენს შემთხვევაში — ხუთიანის) ფერად შეარჩია ხასხასა წითელი, უპირველესად იმიტომ, რომ იგი ადვილად იპყრობდა ხალხის ყურადღებას.

დღეს გაგაცნობთ პროპაგანდის „მეფის“ 10 „მცნებას“, რომელიც აუცილებლად გაგიჩენთ ასოციაციებს ჩვენი უახლესი წარსულისა და დღევანდელობის მიმართ. მანამდე გეტყვით, რომ ეს ყოვლად ამაზრზენი არსება ქვეყანას მოევლინა 29 ოქტომბერს და მისი საბედისწერო დაბადების შედეგი იყო საკუთარი 6 შვილის და მილიონობით სხვა ადამიანის მოკვლა, მასების წამება, ღირსების აყრა და...

თეა ფირცხალავა: გებელსის „ათ მცნებას“ სახელმძღვანელოდ იყენებდნენ მისი „ხუთოსანი“ მოწაფე მიშა სააკაშვილი და ნაციონალების ორივე ფრთის გურუ – ლევან რამიშვილი

გებელსის ჰიპნოზის ძალის მქონე რიტორიკა... ამბობდა, პროპაგანდის ყველაზე ცუდი მტერი ინტელექტიაო და დატოვა კიდეც პროპაგანდის მისეული „რეცეპტი“, რომელსაც, მრავალი წლის შემდეგაც კი, სახელმძღვანელოდ იყენებდნენ მისი „ხუთოსანი“ მოწაფე მიშა სააკაშვილი და ნაციონალების ორივე ფრთის გურუ — ლევან რამიშვილი.

მაშ ასე... გებელსის „ათი მცნება“:

პროპაგანდის ერთადერთი მიზანი უნდა იყოს მასების დამორჩილება;

მასების დამორჩილების მიზნით მისაღებია ნებისმიერი საშუალება, მთავარია, რომ პროპაგანდა იყოს ეფექტური;

სიმართლის შემცველი, ანუ „თეთრი“ ინფორმაციის გარდა, აუცილებელია, გამოყენებული იქნას „რუხი“, ანუ ნახევრად მართალი და „შავი“, ანუ აშკარა სიცრუის შემცველი ინფორმაციაც, რამეთუ მიზანია არა სიმართლე, არამედ ეფექტი;

იმისთვის, რომ მასებს არ გაუჩნდეთ ეჭვი, „გზავნილი“ უნდა იყოს პრიმიტიული, დაზუსტებების გარეშე, მოკლე ლოზუნგების სახით;

პროპაგანდა უნდა ზემოქმედებდეს გრძნობებზე და არა გონებაზე, რამეთუ მასას, როგორც წესი, ქალური ბუნება გააჩნია;

პროპაგანდის ყველაზე დიდი მტერია ინტელექტი;

პროპაგანდა გათვლილი უნდა იყოს ყოველთვის და მხოლოდ მასებზე და არა ინტელიგენციაზე, ამიტომ იგი მათთვის ადვილად გასაგებ ენაზე უნდა გავრცელდეს;

პროპაგანდამ, განსაკუთრებით ომის დროს, უარი უნდა თქვას ჰუმანიზმსა და ესთეტიკაზე, რამეთუ სახელმწიფოებრივი ბრძოლისას საქმე ეხება არა რაიმეს, ან ვინმეს, არამედ თავად სახელმწიფოს ყოფნა–არყოფნას;

პროპაგანდა ვერ იქნება ობიექტური, იგი უნდა იყოს სუბიექტურად ცალმხრივი;

რაც უფრო ამაზრზენია ტყუილი, მით უფრო ადვილია მისი დაჯერება და გავრცელება (სინამდვილეში, ეს ჰიტლერმა თქვა — „Mein Kampf“-ში, მაგრამ გებელსს მიაწერეს, თუმცა, ეს სულ სხვა ისტორიაა და, ვფიქრობ, არც არსებითი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის).

ნინო ლაბარტყავა.
„რეპორტიორი“

მიხეილ სააკაშვილი 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დღესაც მოუწოდებდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებს სამხედრო ამბოხებისკენ

„ვარდების რევოლუცია მოხდა მაშინ, როცა გია გულუას სახელობის სპეციალური დანიშნულების რაზმის 200 კაცი გადავიდა მეამბოხე პოლიტიკური ოპოზიციის მხარეზე. დღეს კი საუბარია 500-მდე კარგად გაწვრთნილ ვეტერანზე, მათ შორის, დევი ჭანკოტაძეზე, რომელიც სახელმწიფო გადატრიალების ერთ-ერთი მოთავე იყო ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლების დამხობისას, — აცხადებს ანალიტიკოსი **ვახტანგ მაისაია.**

— „ქართული ოცნების“ ლიდერშიპი აცხადებს, რომ ოპოზიცია ამბოხისთვის ემზადება. თავის მხრივ, ოპოზიციაც მიანიშნებს, რომ სიტუაცია ძალიან ჰგავს 2003 წლის მდგომარეობას, როცა გაისმა შევარდნაძის სიტყვები „სახლში მივდივარ“. შეცვლილია ცალკეულ ოპოზიციონერ პოლიტიკოსთა რიტორიკაც, რომლებიც აქამდე მუდამ ინარჩუნებდნენ პოლიტკორექტულობას და დღეს უკვე გვესმის სიტყვები, „დავალეწავ ყველას ყველაფერს თავზე, ვინც გაბედავს და ხმებს გამიყალბებს“... რისთვის ემზადებიან ოპოზიციონრები, რადგან რევოლუციის სურვილი ერთია, მეორეა ხალხის მხარდაჭერა?

— დღევანდელ სიტუაციაში ყველანაირი სცენარია გასათვლელი, ეს რევოლუციური იქნება, თუ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა. გარკვეულწილად, როგორც არ უნდა შეალამაზონ მისი ფორმები, 20 ივნისსაც აშკარად იყო გადატრიალების მცდელობა. მეორეა, როგორ აღიკვეთა მაშინდელი მცდელობა. სიტუაციის მოთელვა თუ გადათამაშება 20 ივნისს განხორციელდა. ახლა ჩვენს ირგვლივ გეოსტრატეგიული ვითარება საკმაოდ რთულია. ამასაც შეაქვს თავისი წვლილი სიტუაციის გართულებაში. პრინციპში, „ნაცმოძრაობამ“ დააანონსა თავისუფლების მოედნის დაკავება, ე.წ. კარვების ქალაქის გაშენება, ეს ძალიან მაგონებს მიხეილ სააკაშვილის მიერ „ახალი ძალების რუხის“ მიერ განხორციელებულ ქმედებას კიევში, როდესაც მათ სამი თვის განმავლობაში ჰქონდათ ბლოკირებული სახელმწიფო სამთავრობო სტრუქტურები ანალოგიური მეთოდით, ეს იყო „პალატკის“ ქალაქი და პოროშენკოს მოუწია სერიოზული ნაბიჯების გადადგმა ამის ასალაგმად.

— „ვის მოუწყვია რევოლუცია მერიაში განცხადების შეტანით?“ — ასეთია გიგი უგულავას პასუხი რევოლუციურ სცენარებზე საუბრისას.

— რომელ უგულავაზეა საუბარი, რომელიც სახელმწიფო გადატრიალების შედეგად გახდა თბილისის მერი?

— ანუ ოპოზიციის მიზანი სახელმწიფო გადატრიალებაა?

— თუ გაუვათ, რატომაც არა. „ნაცმოძრაობა“ თვითონ გადატრიალების პარტიაა, ის გადატრიალების გზით მოვიდა ხელისუფლების სათავეში. მათ 2012 წლის ოქტომბერშიც სურდათ სახელმწიფო გადატრიალება, რაც მაშინდელმა ამერიკის და ჰოლანდიის ელჩებმა შეაჩერეს, თორემ ახალაია და მერაბიშვილი მზად იყვნენ ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. ჩვენ ვიცით, მათი ლიდერი მიხეილ სააკაშვილი 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დღესაც მოუწოდებდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებს სამხედრო ამბოხისკენ. რამდენადაც ვიცი, მას წაყენებული აქვს შესაბამისი ბრალდება ამ მიმართულებით, იმავე წელს 24 დაქირავებული უკრაინელი მებრძოლი დააკავეს თბილისში. სხვათა შორის, ამას მე და ბატონ ირაკლი კაკაბაძეს უნდა გვიმადლოდეს მაშინდელი მმართველი პოლიტიკური ძალა, რომ ჩვენ გავაფრთხილეთ ხელისუფლება ამ საფრთხის შესახებ. შემდეგ ჩატარდა რეიდები და აღმოჩნდა, რომ ჩვენი ინფორმაცია მართალი იყო. დადასტურდა გეგმა, რომ სააკაშვილი და მისი თანამებრძოლები აპირებდნენ ამ გეგმის განხორციელებას. **მით უმეტეს, ამ გეგმის განხორციელება მათთვის ადვილია ახლა, როცა დღევანდელი „ქართული ოცნება“ მაშინდელი „ოცნების“ ლანდიც კი არ არის. დღევანდელი „ქართული ოცნება“ გადაიქცა გარკვეული კლანების კოალიციად, „ოცნების“ პარტია ჩამოშლილია და ზუგდიდის ტერაქტმაც აჩვენა, რომ სისტემაში სერიოზული პრობლემებია. არ მინდა, არავის ბრალი დავსდო, მაგრამ როგორც თვითონ აცხადებენ, შეიარაღებული თავდაცვის ძალების ყოფილი ოფიცერი ბანკის ფილიალს აყაჩაღებს და იყენებს იმ გამოცდილებას, რომელიც უნდა მოახმაროს სამშობლოს თავდაცვას და გაძლიერებას. ელემენტარულად, ეს სამხედრო პოლიციას, ან ჩვენს სპეცსამსახურებს არათუ ეპარებათ, არამედ ხდება ტერორისტის მოთხოვნების დაკმაყოფილება. დღემდე არ არის დაკავებული ტერორისტი. ამის შემხედვარე ასეთი რადიკალური ოპოზიციური დაჯგუფებისთვის, ანუ „ნაცმოძრაობისთვის“ ეს არის სანუკვარი სცენარი.**

სოციალურ-ეკონომიკური ვითარება უმძიმესია, „ოცნებამ“ დაკარგა თავისი რეიტინგი. „ქართულ ოცნებას“ რომ ჰქონდეს ისეთი პოზიცია, როგორიც 2012 და 2016 წელს იყო, მაშინ ამას ვერავინ გაბედავდა!..

— 2003-ში შევარდნაძემ დაგვიბარა, სახლში მივდივარო. დღეს ვინ იქნება ამ სიტყვების მთქმელი, თუკი რადიკალურად განვითარდება მოვლენები?

— იმიტომაც ვამბობ, ახლანდელი „ქართული ოცნება“ 2003 წლის მოქკავშირის ტიპის ეფემერულ ორგანიზაციას მაგონებს. ედუარდ შევარდნაძე იყო მოქკავშირის თავმჯდომარე, მაშინაც შევარდნაძე გაუჩინარებული იყო რადარებიდან. მესმის, ახლა ბიძინა ივანიშვილი შეიძლება დაკავებული კაცია, მაგრამ ის მმართველი პოლიტიკური პარტიის თავმჯდომარეა და, როცა ხშირად არ ჩნდება ტელესივრცეში, არ მართავს ბრიფინგს, ეს კითხვებს აჩენს. ის ხომ არ არის მართლაც არაფორმალური ლიდერი.

— ეს ნიშნავს, რომ პოსტსაარჩევნო სიტუაცია ბუნდოვანია?

— არათუ ბუნდოვანია, არამედ სახელმწიფო გადატრიალების შტრიხები უკვე იკვეთება. ბუნდოვანი შეიძლება ყოფილიყო საპრეზიდენტო არჩევნების დროს, როცა სააკაშვილმა მოუწოდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებს, იარაღით ხელში დაპირისპირებოდნენ ლეგიტიმურ ხელისუფლებას. ახლა კი გადატრიალების სურვილის შტრიხები აშკარაა.

მანანა ნოზაძე

ვინ არ გადაიხდის კომუნალურებს 4 თვის განმავლობაში?!

გადაამოწმეთ გადასახდელი თანხის მიხედვით

საქართველოს მოქალაქეებს კომუნალურ გადასახადებს მთავრობა მეორე ეტაპზეც — მიმდინარე წლის ნოემბერში, დეკემბერში, იანვარსა და თებერვალშიც აუნაზღაურებს.

კომუნალურებზე შეღავათების პროგრამა იგივე პრინციპით განხორციელდება, როგორც აქამდე იყო — 200 კილოვატ საათი ელექტროენერგიის და 200 კუბური მეტრი გაზის მოხმარება იქნება მთავრობის მიერ კომპენსირებული. შედარებით შეძლებულ მოქალაქეებს კი ექნებათ შესაძლებლობა ასეთ დახმარებაზე უარი თქვან.

> **რაც შეეხება იმას, თუ თანხობრივად რამდენის მოხმარების შემთხვევაში შეძლებენ მოქალაქეები ამ სუბსიდიით სარგებლობას, უხეში დათვლებით შეღავათით ისარგებლებენ მოქალაქეები, რომლებიც თვის განმავლობაში ელექტროენერგიაზე მაქსიმუმ 37 ლარს იხდიან.**
>
> **რაც შეეხება ბუნებრივ აირს, ამ შემთხვევაში კომუნალური გადასახადი სრულად დაუფინანსდება „თბილისი ენერჯის“ იმ აბონენტებს, რომლებიც თვის განმავლობაში მაქსიმუმ — 92 ლარს იხდიან.**
>
> **რეგიონებში კი, „ენერგო-პრო-ჯორჯიას“ აბონენტებს შეღავათი შეეხება იმ შემთხვევაში, თუ თვის განმავლობაში დენის გადასახადი მაქსიმუმ 36 ლარია. ხოლო „სოკარ-გაზის“ აბონენტები შეღავათით ისარგებლებენ იმ შემთხვევაში, თუ ბუნებრივი აირის გადასახადი თვის განმავლობაში მაქსიმუმ 113-114 ლარს შეადგენს.**

შეგახსენებთ, რომ მთავრობის გადაწყვეტილებით, მოქალაქეებს, რომლებიც 200 კილოვატზე ნაკლებ ელექტროენერგიას და 200 $მ^3$-ზე ნაკლებ ბუნებრივ აირს მოიხმარდნენ, მარტში, აპრილსა და მაისში კომუნალური გადასახადი სრულად დაუფინანსდათ. მაშინ მოსახლეობის კომუნალური გადასახადების სუბსიდირებაზე 170 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა, ხოლო სახელმწიფოს მხრიდან კომუნალური გადასახადების დაფინანსებაზე უარი სამი თვის განმავლობაში 9 600-მა მოქალაქემ თქვა.

ყველა ბიზნესი ვალებშია და ყველა შველას ითხოვს!

> **ბოლომდე ჩავარდნილმა ტურიზმმა არათუ სასტუმროებსა და რესტორნებს, არამედ უკვე სადისტრიბუციო კომპანიებს შეუქმნა პრობლემები. საქმე ისაა, რომ ჰორეკა ბიზნესს დისტრიბუტორების უზარმაზარი ვალი მართებს, მათი გადახდა კი არათუ ახლა, კარგა ხანს შეუძლებელი იქნება. მართალია, დავალიანება აღიარებულია, მაგრამ მისი „გაცოცხლება“ ვერაფრით მოხერხდება, სანამ თვითონ ტურიზმი არ გაცოცხლდება.**

როგორც სასტუმროების მენეჯერი **შალვა ალავერდაშვილი** ამბობს, სადისტრიბუციო კომპანიების მიმართ ასეთ მასშტაბურ დავალიანებას სექტორი ნამდვილად არ გაურბის. ავიამიმოსვლისა და ტურიზმის აღდგენის შემდეგ, სექტორი ეცდება დაგროვილი ვალის გასტუმრებას.

> **„ვალი მაქვს და ვერ ვაძლევ, თუ არ ავმუშავდით საიდან მივცემთ? საქმე ეხება დახურულ სასტუმროებს მთელი საქართველოს მასშტაბით, რომელიც არის სრული უმრავლესობა. არაფერი შეცვლილა, არაფერი გახსნილა, არაფერი ამუშავებულა, ტურიზმი ვეღარ მუშაობს — დაიკეტა.**
>
> **ვაღიარებთ, რომ ჩვენს სექტორში ჩალექილია 20-25 მილიონამდე დისტრიბუტორთა ვალი, მაგრამ როცა ქვეყანა გაიხსნება და ტურიზმი აღდგება, მერე გადავუხდით კომპანიებს. დეკლარირებულია ვალი და გვიწერია, რომ მიღებული გვაქვს პროდუქცია, არ გავურბივართ ამ რეალობას“,** — განაცხადა ალავერდაშვილმა.

დისტიბუტორების მიმართ საკმაოდ სოლიდური დავალიანება დაუგროვდათ რესტორნებსაც. ზოგადად თუ ერთ, რომელიმე სექტორს გაუჭირდა, მას ჯაჭვური რეაქციით მიჰყვება სხვა დაკავშირებული სექტორების ჩამოშლა.

> **„დღესდღეობით მთლიანად სექტორში ობიექტების 100%-დან 70% არის დახურული. ამან წარმოშვა პრობლემა დისტიბუტორთან ურთიერთობაშიც. 70%-ს დახურვის შემთხვევაში ჩარჩა პროდუქცია, ეს პროდუქცია ხშირ შემთხვევაში მალფუჭებადია და გაყიდული პროდუქციის განაღდება ვერ მოხერხდა სხვა დავალიანების გამო - ბანკები იყო, ასევე იჯარა“,** — აცხადებს რესტორატორთა ასოციაციის ხელმძღვანელი **შოთა ბურჯანაძე**.

ამოუღებელი ათეულობით მილიონი ლარის გამო კი მწარმოებელ და სადისტრიბუციო კომპანიებს საბრუნავი კაპიტალი აღარ დარჩათ. დისტრიბუტორთა ბიზნესასოციაციის პრეზიდენტის **ივა ჭყონიას** თქმით, შექმნილ კრიზისულ ვითარებას სექტორი გაგებით ეკიდება, თუმცა მთავრობის დახმარების მხოლოდ ტურიზმის სექტორზე გავრცელება არასწორად მიაჩნია. ივა ჭყონია ამბობს, რომ სადისტრიბუციო ბიზნესს სჭირდება საგადასახადო შეღავათები იმისთვის, რომ სექტორმა ლიკვიდურობის შენარჩუნება შეძლოს.

> **„აქ ათობით მილიონ ჩალექილ თანხებზეა საუბარი, რომლის ამოღებაც ფაქტობრივად წარმოუდგენელია. ეს ნიშნავს, რომ საბრუნავ კაპიტალში უჩნდებათ დეფიციტი და შემდეგ უჭირთ ვალდებულებების გასტუმრება, რომლის წინაშეც დგანან ერთი მხრივ, მომწოდებელ კომპანიასთან, მეორე მხრივ, ადგილობრივ მწარმოებელ კომპანიასთან.**
>
> **გვესმის და გაგებით ვეკიდებით ჰორეკა სექტორის პრობლემებს. 90% გაჩერებულია, ვერ მოთხოვ, აზრიც არ აქვს, თუმცა შესაბამისი პრობლემით მივმართავთ სახელმწიფოს. სადისტრიბუციო სექტორი პირდაპირ არის მიბმული ჰორეკაზე, ტურიზმზე და შესაბამისად, როცა ვსაუბრობთ, რომ დახმარება სჭირდებათ შესაბამის სექტორებს, ჩვენც არაფრით არ განვსხვავდებით. მათი საქმიანობის აღდგენა ჩვენს გარეშე მომავალშიც წარმოუდგენელია. ვითხოვთ, გადასახადების დროებით მოხსნას, თუნდაც საშემოსავლოს კუთხით, იმ შეღავათს, რაც აქამდე გვქონდა.**
>
> **მესმის, რომ დღგ-ს შეღავათი არ განიხილება, თუმცა სადისტრიბუციო ბიზნესს რომ გაეზარდოს ლიკვიდურობა, მნიშვნელოვანია დღგ მიბმული იყოს პროდუქციის რეალიზაციაზე ან ყველაზე ცუდ შემთხვევაში, იმპორტისას დღგ-ს გადახდა მოხდეს 30 დღის შემდეგ, რაც აქამდე იყო“,** — განუცხადა „ბიემს“ ივა ჭყონიამ.

გაითვალისწინებს თუ არა მთავრობა სადისტრიბუციო ბიზნესში შექმნილ კრიზისულ ვითარებას, ჯერ უცნობია.

ბექა დანელია

გაცოცხლდება თუ არა არჩევნების შემდეგ სტაბილურად მძიმე ეკონომიკა?



ქვეყნის ეკონომიკა რთულ ვითარებაშია, მაგრამ ახლა ვარდნის ტემპი ყოველთვიურად უფრო და უფრო ნაკლებია. არის მოსაზრება, რომ წლის ბოლოსთვის შესაძლოა, ქვეყანამ ნულოვან მაჩვენებელზე გასვლა მოახერხოს. ამის იმედს მთავრობას აძლევს სექტემბრის წინასწარი მონაცემები, რომელიც — 1,5%-ის ფარგლებში უნდა იყოს.

მთავრობაში ირწმუნებიან, რომ ეკონომიკამ ამუშავება დაიწყო და მდგომარეობა ეტაპობრივად გამოსწორდება. წლის ბოლოს კი ნამდვილად ჩამოყალიბდება დადებითი ტენდენცია.

„გარდა ზოგადი შეფასებებისა, ჩვენ თვედათვე მივყვებით სტატისტიკას. დავიწყეთ -17%-დან და აგვისტოს მაჩვენებელი იყო უკვე — 5.1%, სექტემბრის მაჩვენებელი, სავარაუდოდ, იქნება — 1.5%-ის მიდამოებში. ეს ნიშნავს, რომ ყოველთვიურად უკეთესი მდგომარეობა გვაქვს და თანდათან იწყება აღდგენის პროცესი. ეს ინდუსტრია (ტურიზმი) და მისი უარყოფითი შედეგები გადასძალა სხვა სექტორებმა. ცხადია, სრულად ამის დაბალანსება შესაძლებელი ვერ იქნება, მაგრამ დადებითი შედეგები სახეზეა“, — განაცხადა პრემიერის ეკონომიკურმა მრჩეველმა **ბექა ლილუაშვილმა**.

ფაქტია, რომ კორონავირუსმა ქართული ეკონომიკა ძალიან დააზარალა. პანდემიამდე ნიშნულზე დაბრუნება დროსა და რესურსს მოითხოვს. ეკონომიკის მინისტრი **ნათია თურნავა** აცხადებს, რომ გაჯანსაღების პირველი სერიოზული ნიშნები უკვე ჩანს და ვითარება ეტაპობრივად გამოსწორების გზას ადგას.

„პოზიტიური ცვლილებაა არა მხოლოდ ეკონომიკურ ზრდაში, არამედ — ექსპორტის დინამიკაშიც. შარშან საქართველოს ექსპორტი აღწევდა რეკორდულ ნიშნულს, წელს კი, მიუხედავად პანდემიისა, ეს რეკორდი მოიხსნა, ანუ ექსპორტი კიდევ უფრო გაიზარდა. მაგალითად, სექტემბერში ექსპორტი გაიზარდა 8.6%-ით, ადგილობრივი ექსპორტი კი — 27%-ით. ეს შევძელით იმით, რომ პანდემიის გავრცელების პირველივე დღიდან მივიღეთ მკაცრი ზომები.

ეპიდემიის სწორად მართვამ მოგვცა საშუალება, რომ სწრაფად აღგვედგინა ეკონომიკური საქმიანობა ბევრ სფეროში, მათ შორის, სოფლის მეურნეობაში და სწორედ სოფლის მეურნეობაა ერთ-ერთი ლიდერი დღეს ექსპორტში. ავითვისეთ ახალი ბაზრები“, — განმარტა ნათია თურნავამ.

მთავრობის აღტკინება გასაგებია, მაგრამ ჯერჯერობით საქმე მთლად სატრაბახოდ არ არის. მით უფრო, რომ ანალიტიკოსები სულაც არ იზირებენ ნათელი პერსპექტივის მოტივებს. მაგალითად, „თიბისი კაპიტალმა“ მაკროეკონომიკური სექტორული მიმოხილვა გამოაქვეყნა, რომელშიც ქვეყნის მთავარი ეკონომიკური მაჩვენებლებია მიმოხილული. იქ პირდაპირ არის აღნიშნული, რომ ეკონომიკის აღდგენა ნავარაუდევზე დაბალი ტემპით მოხდება.

დოკუმენტში ნათქვამია, რომ მიუხედავად არატურისტული ეკონომიკის მოსალოდნელზე მეტად გაუმჯობესებისა და დაგეგმილზე სავარაუდოდ უფრო მეტი ფისკალური სტიმულისა, ეპიდემიოლოგიური ვითარება და რეგიონული კონფლიქტი მშპ-ს ზრდის პროგნოზზე ნეგატიურად მოქმედებს და შემცირების მიმართულებით გადახედვის ალბათობაც მეტია.

2020 წლის განახლებული პროგნოზის მიხედვით, ექსპორტი — 11%-ით, ტურიზმი — 84%-ით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კი 35%-ით შემცირდება. ფულადი გზავნილები კი, წელს 5%-ით გაიზრდება.

რაც შეეხება 2021 წლის პროგნოზს, „თიბისი კაპიტალი“ მთავარი მაკროეკონომიკური პარამეტრების გაუმჯობესებას ელის, მაგრამ არა იმ ტემპით, როგორსაც მთავრობაში ვარაუდობენ. 2021 წელს ეკონომიკურ ზრდას ანალიტიკოსები 5%-დან 4-4,5%-მდე ამცირებენ და ამის მიზეზად ტურიზმის აღდგენის ტემპი და პანდემია სახელდება.

რაც შეეხება 2020 წლის ეკონომიკური ზრდის განახლებულ პროგნოზს, „თიბისი კაპიტალი“ მიმოხილვაში წერს, რომ წელს ქვეყნის მშპ 5-5,5%-ით შემცირდება.

ეკა ბაძრაძე

სიბერე სიბრძნის სინონიმია

„ბრუ“-ს ბებერი გენერლის“ ფბ-ფოსტიდან

ახალგაზრდების საყურადღებოდ: კარგად, დაკვირვებით წაიკითხეთ ძ-ნ. მეგი ყურაშვილის პოსტი, რისთვისაც მადლობას ვწირავ... ღირს ამის გამო თავის შეწუხება. აი, დარდი, თუ ოკუპანტის ენაზეა დაწერილი...

ამ პოსტზე გამოხმაურების სურვილი წაკითხვისთანავე გამიჩნდა, რამეთუ უმალ გამახსენდა ერთი უსიამო ფაქტი: ამ რამდენიმე ხნის წინ ხელისუფლების მაღალი ეშელონიდან წასვლის მინიშნება, ნებაყოფილობით და, ცოტა არ იყოს, უტაქტოდაც, აგრძნობინეს ერთ ფრიად დამსახურებულ და ქვეყნისთვის მეტისმეტად საჭირო პერსონას. მოტივი იყო ერთობ ღიმილისმომგვრელი (სატირალი რომ არა): 70 წლის, უნიკალური პრაქტიკული გამოცდილების ინტელექტუალთან, თურმე, თავს უხერხულად გრძნობდნენ მასზე 35-40-50 წლით ახალგაზრდა... ჭუჭუ'ლაშვილები. მის ადგილზე კი დასვეს 23 წლის ბიჭუნა, რომელსაც არავითარი პრაქტიკული გამოცდილება არ გააჩნია. მით უმეტეს იმ სფეროში, სადაც მაღალი ინტელექტის მიუხედავად, ცხოვრებისეული თუ პროფესიული გამოცდილების დეფიციტი გამორიცხავს რაიმე სერიოზულ წარმატებას.

ვიმეორებ, მოტივაციას: ამ ბებერი(!) პერსონის ასაკი თურმე დისკომფორტს უქმნიდა მეტისმეტად საეჭვო ბიოგრაფიის... ჭუჭუ'ლაშვილებს.

ჰოდა, პარტიებში, ხელისუფლებაში, ბიზნესში, სასწავლებლებში, ცენტრსა თუ პერიფერიაში მოყელყელავე ჭუჭუ'ლაშვილებს მინდა გავანდო „საიდუმლო“:

არ არსებობს ისეთი „ავადმყოფობა“, რომელსაც ჰქვია... სიბერე!

კი არსებობს სკლეროზი, ალცჰეიმერი, სახსრების სისუსტე... კი, კი, ეგ და კიდევ სხვა „მდგომარეობა“ ასაკის თანმდევი სენია, მაგრამ ეს არ არის ყველასთვის, მით უმეტეს, ჯანსაღი ცხოვრების წესის მიმდევარი ადამიანებისთვის სავალდებულო, გარდაუვალი, აუცილებელი!!!

ასე რომ, ფრთხილად შეფასებებისგან. ყველა და ყველაფერი ერთი არშინით არ იზომება... არც მხოლოდ საკუთარი ბაბუების ქცევით და ინტელექტით, მით უმეტეს, იმათი, ვინც იმ ცნობილი ანეკდოტისა არ იყო, ტყვეობაში ყოფნისას... დახვრიტეს და მაინც ცოცხლებად დარჩნენ.

თქვენ კი, ჩემო ბებერო(!!!) მეგობრებო, ქვეყნისთვის დამაშვრალო ადამიანებო, გული არ გაიტეხოთ, რამეთუ ქვემოთ გაზიარებული პოსტით შეგახსენებთ, ჩვენ ასაკში, ვინ და რას „ხალისობდა“...

სიბერე სიმაღლეზე მხტომელობის და სპრინტერობის სინონიმი კი არ არის, არამედ სიბრძნის!

ამ აქსიომას თავიანთი ცხოვრებით და შემოქმედებით ადასტურებდნენ ასი წლის კაკი შანიძე, „ბებერი“ ივანე ბერიტაშვილი, ნიკოლოზ მუსხელიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ირაკლი აბაშიძე... თუნდაც, ახლახან წასული 94 წლის მარიკა ლორთქიფანაძე, 85-ს გადაცილებული მერაბ ბერძენიშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი... ანდა, დღესაც დაუზარელი და (დღეგრძელობა მისურვებია) აკადემიკოსები, 95-ს მიტანებული მზექალა შანიძე, 88 წლის თამაზ შილაკაძე; 86-ში მყოფი ცნობილი ჟურნალისტი და მთარგმნელ გურამ გოგიაშვილი, ყოველდღიურად რომ გვანებივრებს ფანტასტური პუბლიკაციებით, ანდა, 83 წლის პოპულარული სტალინისტი და ყოველკვირეული ბლოგერი პოლემისტი გრიგოლ ონიანი, უნიჭიერესი და „უხვმოსავლიანი“ ნაღდი პუბლიცისტი, 84 წლის არმაზ სანებლიძე... ანდა, 85 წლის გამოჩენილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე რეზო ამაშუკელი... რომელი ერთი ჩამოვთვალო...

ისე, თუ ბოლომდე გულწრფელი ვიქნები, ამ ყველაფერს ჭკუანაკლულ (ენაშეუკავებლობა რომ ჭირთ), იმ „პუბლიცისტებისთვის“ უფრო ვწერ... მაგ უტიფრებს მაინც არაფერი ეშველებათ, მაგრამ მაინც ვცდილობ მინიშნებას... ერთი მთაწმინდელი პოეტისა არ იყოს: „საქართველოვ შენ ვინ მოგცა, „შვილი დასაკარგავი“.



(სხვათაშორის, ეს სტრიქონები თუ იცით ამ „დისიდენტმა“ პოეტმა რომელ „დისიდენტს“ მიუძღვნა?)...

მოკლედ, კიდევ ერთხელ, შენ დაუკა და ტაშიც დასცხე, კუკური!

ნუგზარ ფოფხაძე

◎ ლარიზაციიდან საპენსიო რეფორმამდე

ბოლო მოწვევის პარლამენტის ყველაზე საკამათო ეკონომიკური რეფორმები

(მესამე გვერდიდან) საბოლოოდ კანონმდებლებმა მიწის გაყიდვის უფლება არც კერძო პირებს მისცეს, არც ევროკავშირის მოქალაქეებს, თუმცა დაუშვეს გამონაკლისი, რასაც პარლამენტის თანხმობა სჭირდება.

ლარიზაცია და დაკრედიტების შეზღუდვა.

2016 წლის მოწვევის პარლამენტის პირველი სხდომა 18 ნოემბერს გაიმართა. იმ დღეს ლარის ოფიციალური კურსი დოლართან მიმართებაში 2.49-ს შეადგენდა, უმრავლესობის სიით გასული მწვანეთა პარტიის ლიდერი გია გაჩეჩილაძე მთავრობის დამტკიცებისას იმას არკვევდა, ჰქონდა თუ არა აღმასრულებელ შტოს განსაზღვრული კურსის ქვედა ზღვარი, რათა ინვესტიციების მოზღვავების შედეგად ლარი ზედმეტად არ გამყარებულიყო. დეპუტატის შიშები არ გამართლდა, ლარი ზედმეტად არ გამყარებულა. ლარიზაციის მოტივით მიღებული ცვლილებების მიუხედავად, თითქმის 4 წლის შემდეგ დოლარი 29%-ით მეტი — 3.22 ლარი ღირს. ე.წ. ლარიზაცია კი რამდენიმე მიმართულებით წარიმართა, რომელთაგანაც ნაწილი სავალდებულო იყო, ნაწილი შეთავაზების ფორმას ატარებდა.

2017 წლის 1-ლი ივლისიდან ლარში ფასდადება სავალდებულო გახდა. რეალურად სუპერმარკეტებსა თუ საოჯახო ტექნიკის მაღაზიებში ანგარიშსწორება ადრეც ლარში ხდებოდა. ავტომობილსა და ბინას ფიზიკური პირები ახლაც დოლარებში ყიდულობენ. გაყიდვების საიტებზე ლარის მითითება სავალდებულო გახდა, თუმცა გამოსავალი მალევე მოიძებნა, პირს შეუძლია ფასის დოლარში მითითება, რომელსაც საიტის კალკულატორი ლარში ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული იმ დღეს არსებული ოფიციალური კურსით ავტომატურ რეჟიმში გადაიყვანს.

2017 წლის 15 იანვრიდან ბანკებს 100 000 ლარამდე სესხის უცხოურ ვალუტაში გაცემა აეკრძალათ. 2 წლის შემდეგ ქვედა ზღვარი გაორმაგდა და დღეს პირს 200 000 ლარამდე სესხის აღება მხოლოდ ლარში შეუძლია, გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, თუ მსესხებელი უცხოურ ვალუტაში შემოსავალს დოკუმენტურად დაადასტურებს.

2017 წელს სესხების გალარების პროგრამის ფარგლებში ბიუჯეტიდან 65 მლნ ლარი გამოიყო. იმ ფიზიკურ პირებს, რომლებსაც 2015 წლის 1-ელ იანვრამდე უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხი დოლარში ჰქონდათ აღებული, შესაძლებლობა მიეცათ სესხი ლარში გადაეტანათ. კურსი იმ დღეს არსებული დოლარის ოფიციალურ ღირებულებაზე 20 თეთრით ნაკლები იქნებოდა. პროგრამა არ ეხებოდა 4100 000-ზე უფრო მაღალ სესხებსა და იმ პირებს, რომლებმაც 2015 წელს 100 000 ლარზე მეტი შემოსავალი მიიღეს. პროგრამა პოტენციურად 27 000-მდე პირს ეხებოდა, მაგრამ შეთავაზებით მხოლოდ 19%-მა — 5092-მა ისარგებლა. დაბალი აქტივობის მიზეზი ლარში არსებულ სესხზე მაღალი საპროცენტო განაკვეთი იყო, რომელიც თავის მხრივ რეფინანსირების ცვლად განაკვეთზე იყო მიბმული. პროგრამის ამოქმედების ფარგლებში რეფინანსირების განაკვეთი 6.75%-ს შეადგენდა. დღეს 8%-ს უდრის, 2019 წლის ნოემბრიდან 2020 წლის აპრილამდე 9%-საც აღწევდა.

პარლამენტმა ლარიზაცია არასაკმარისად მიიჩნია და დაკრედიტება კიდევ რამდენიმე მიმართულებით შეზღუდა. სესხის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 2017 წლიდან 100%-მდე, ხოლო 2018 წლიდან 50%-მდე შემცირდა. ლიმიტი დაწესდა ჯარიმებზეც. გადაწყვეტილებას ბანკების საკრედიტო პორთფელზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია, 50%-ზე უფრო ძვირად მხოლოდ სწრაფი სესხების ნაწილი გაიცემოდა, რომელთა მოცულობაც მიზერული იყო. ბანკებისგან განსხვავებით, ონლაინ სესხები პრაქტიკულად ბაზრიდან გაქრა. საპროცენტო განაკვეთის ჭერის დადგენის გარდა ბანკს აეკრძალა სესხის გაცემა შემოსავლების დაუდასტურებლად. გაიზარდა ე.წ. PTI კოეფიციენტი. თუ პირის შემოსავალი თვეში 1000 ლარზე ნაკლებია, მაშინ მას სესხის მომსახურებაზე შემოსავლის მხოლოდ 25%-ის გადახდა შეუძლია, 1000 ლარს ზემოთ — 50%-ის, ხოლო თუ სესხი უცხოურ ვალუტაშია —30%-ის. ანუ თუ პირს აქვს 800 ლარი ხელფასი, ის ვერ აიღებს ისეთ სესხს, სადაც ყოველთვიური შენატანი 200 ლარზე მეტი იქნება.

საპენსიო რეფორმა

კიდევ ერთი საკამათო და ალბათ ყველაზე მასშტაბური რეფორმა საპენსიო სისტემას უკავშირდება. 2019 წლის 1-ლი იანვრიდან სავალდებულო საპენსიო დაზღვევა ამოქმედდა. სისტემა 2+2+2 პრინციპით მოქმედებს. დასაქმებულს დარიცხული ხელფასიდან ავტომატურ რეჟიმში 2% ეჭრება, 2%-ს დამსაქმებელი ამატებს, კიდევ 2%-ს — სახელმწიფო. აკუმულირებული თანხა საპენსიო სააგენტოს ანგარიშზე თავსდება. თუ დასაბეგრი ხელფასი წლიურად 24 000-60000 ლარის ფარგლებში სახელმწიფო კონტრიბუცია 1%-მდე მცირდება, ხოლო თუ 60 000 ლარს აღემატება — ნულდება.

სისტემიდან გასვლა 3 თვის განმავლობაში 40 წელს გადაცილებულ პირებს შეეძლოთ. ამ უფლებით 166 ათასმა ადამიანმა ისარგებლა, რაც გასვლის უფლების მქონე პირთა 40%-ს უდრის. სხვა შემთხვევაში სისტემიდან გასვლა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება, თუ ბენეფიციარი შშმ პირი გახდა, ან თუ მან ქვეყანა დატოვა და სხვა სახელმწიფოს მოქალაქე გახდა. სისტემაში ჩართული პირის გარდაცვალების შემთხვევაში მისი კუთვნილი თანხა მისსავე მემკვიდრეს გადაეცემა. საპენსიო დანაზოგზე საბანკო ყადაღა და აღსრულება არ ვრცელდება.

1-ლი ოქტომბრის მონაცემებით, სისტემაში ჩართულ პირთა რაოდენობა 1 მლნ-ს აჭარბებს, ხოლო აქტივების მოცულობა, 1 მლრდ ლარს. საპენსიო სააგენტოს თანხა საბანკო დეპოზიტებზე აქვს განთავსებული და მას უკვე დაერიცხა 100 მლნ ლარამდე სარგებელი.

რეფორმის მომხრეები სისტემაში ჩართულ პირებს უზრუნველ სიბერეს ჰპირდებიან, მოწინააღმდეგეები კი რისკებს ხედავენ და სავალდებულოების გაუქმებას ითხოვენ.

2019 წელს დაგროვებითი საპენსიო სისტემის თანადაფინანსება ბიუჯეტს 110 მლნ ლარი დაუჯდა, 2020 წლის გეგმა 200 მლნ ლარია, 2021 წლის პროექტის მიხედვით კი 220 მლნ ლარია განსაზღვრული. რეფორმის მოწინააღმდეგეთა განმარტებით ვინაიდან გადასახადებს ყველა იხდის, გამოდის, რომ ღარიბი უმუშევარი დასაქმებულს აფინანსებს, რაც გაუმართლებელია.

პანდემიის გამოცხადებისას, რასაც მალევე საყოველთაო კარანტინი და ეკონომიკის ვარდნა მოჰყვა, ოპოზიციურმა პარტიებმა მთავრობას საპენსიო შენატანების ბენეფიციარებისთვის დაბრუნებისკენ მოუწოდეს, რაზედაც უარი მიიღეს.

გიორგი ელიზბარაშვილი

აფხაზეთი: შთანთქმის ფიპი - „პარტნიორულ-მეგობრული“?

დასასრული ჯერ არ დამდგარა – ის ჯერ წინაა. მაგრამ პროცესის ბოლო (ან მინიმუმ ბოლოსწინა) ფაზა უკვე დაწყებულია: ომის დასრულებიდან 27 და აღიარებიდან 12 წლის შემდეგ მოსკოვი, რომელიც მთელი ამ წლების განმავლობაში აფხაზური საზოგადოების წინაშე „უსაფრთხოების გარანტად“, „თანასწორ სტრატეგიულ პარტნიორად“, „სანდო მეგობარად“, „მთავარ იმედად და საყრდენად“ პოზიციონირებდა, პრაქტიკულად აფხაზეთის ღია შთანთქმაზე გადავიდა.

რატომ ახლა? ამასთან დაკავშირებით მედიასა და სოცქსელებში ორი ძირითადი ვერსია განიხილება: 1. როცა ცხადი გახდა, რომ კრემლის „ა“ გეგმამ – „აშშ-ის ჯიბრზე“ საკუთარი „კოსოვოს“ შექმნამ – სრული კრახი განიცადა (აფხაზეთი რუსეთის გარდა, მხოლოდ მისი აშკარა სატელიტების მცირე ჯგუფმა აღიარა, მაშინ, როცა კოსოვო – გაეროს ქვეყნების ნახევარმა, ევროკავშირისა და ნატო-ს წევრების უმრავლესობამ), მოსკოვმა აამოქმედა გეგმა „ბ“– სცენარი პირობითი სახელწოდებით „საბოლოო შთანთქმა“; 2. ახლა, როდესაც აფხაზეთი კორონავირუსთან ბრძოლაში გადარჩენას ცდილობს, კრემლისთვის ადვილია, თავისი პოლიტიკური გეგმები „ზედმეტი ყურადღებისა და ხმაურის გარეშე“ განახორციელოს. შესაძლოა, მომენტის შერჩევისას მოსკოვი ორივე ამ ფაქტორს ითვალისწინებდა, შესაძლოა, იყო სხვა ფაქტორებიც. თუმცა ახლა ამის ანალიზს აზრი აღარ აქვს – პროცესი ხომ უკვე დაიწყო...

მიმდინარე მოვლენების ანალიზს აზრი ჰქონდა და აუცილებელიც იყო ჯერ კიდევ მაშინ – 1990-იანების შუა პერიოდში, როდესაც რუსეთი აფხაზეთის ფრაგმენტულ შთანთქმას იწყებდა. რისკების გათვლა საჭირო იყო მთელი შემდგომი წლების განმავლობაში, როდესაც კრემლი წარმატებით და შეუჩერებლად ასრულებდა ამ ამოცანას, აფხაზეთი კი (ნებსით თუ უნებლიედ) მადლიერებით თანხმდებოდა რუსულ რუბლს, როგორც ერთადერთ საგადასახადო საშუალებას, აფხაზური ეკონომიკისა და სოციალური სფეროს რუსეთის ბიუჯეტიდან პირდაპირ დოტირებას, მოსახლეობის უმრავლესობის მიერ რუსული პასპორტების აღებას, რუსული ბაზების განთავსებას, „დამოუკიდებელი სახელმწიფოს საზღვრების“ რუსი მესაზღვრეების მიერ კონტროლს, 2014-ში ე.წ. იმ დიდი ხელშეკრულების გაფორმებას, რომელიც მთელი რიგი სახელმწიფო სტრუქტურების შერწყმას ითვალისწინებდა და ქმნიდა იურიდიულ ფუნდამენტს რუსეთის მთელი შემდგომი მოქმედებისთვის...

ნაკლებ სავარაუდოა, აფხაზეთში ვერავის შეემჩნია, რომ ეს პროცესი „ორი სუვერენული სახელმწიფოს თანამშრომლობის“ სახელწოდებას მხოლოდ ფორმალურად ატარებდა. ნაკლებ სავარაუდოა, მთელი ამ წლების განმავლობაში აფხაზეთში არავის მოსვლოდა აზრად, შეექმნა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების რაიმე სტრატეგია, – მასზე დაყრდნობით ხომ დღეს მოსკოვისთვის წინააღმდეგობის უფრო ეფექტურად გაწევა იქნებოდა შესაძლებელი. თუმცაღა, როგორც არაერთხელ გვიჩვენა მსოფლიო გამოცდილებამ, მოსკოვისთვის არანაირი სტრატეგიები, კონსტიტუციები, კანონები და ნორმები არ წარმოადგენს წინაღობას, მისთვის მიზანი ყოველთვის ამართლებს საშუალებას და კრემლი ამ პრინციპს საკუთარი მოსახლეობის მიმართაც კი იყენებს, რომ აღარაფერი ვთქვათ დანარჩენებზე...

ასეა თუ ისე, აქტიური შთანთქმის ფაზა დაწყებულია და აფხაზეთში ამას უკვე პრაქტიკულად ყველა ამჩნევს. მოსკოვიდან ჯერ განცხადებები (**ზახარ პრილეპინის, ალექსანდრე პროხანოვის,** ვლადიმირ ჟირინოვსკის და სხვების) გაისმა აფხაზეთის რუსეთის შემადგენლობაში შეყვანის „აუცილებლობის“ თაობაზე. და თუ ცხინვალმა (დე ფაქტო პრეზიდენტ ბიბილოვის სახით) რუსი მარგინალების ამ თითქოსდა არაფრის დამავალდებულებელ მოწოდებებს სასწრაფოდ „ორივე ხელით“ დაუჭირა მხარი, სოხუმის მხრიდან მათ მწვავე პროტესტი მოჰყვა (დე ფაქტო პარლამენტმა განაცხადა, რომ მსგავსი ინიციატივები „უკიდურესად ნეგატიურად აღიქმება აფხაზი ხალხის მიერ“ და „ხელს არ უწყობს რუსეთთან ჭეშმარიტად კეთილმეზობლურ და მეგობრულ ურთიერთობებს“, ხოლო დე ფაქტო საგარეო უწყებამ – რომ „რესპუბლიკის პოლიტიკური სტატუსი გადახედვას არ ექვემდებარება და შეუქცევადი ხასიათისაა“). ამიტომაც ამ ეტაპზე რუსული გეგმა „ბ“ აფხაზეთისთვის სოციალურ-ეკონომიკური „ინტეგრაციის“ დონეზე ხორციელდება.

ასე, გასული წლის დეკემბერში სოხუმში მოსკოვიდან „ერთიანი სოციალური და ეკონომიკური სივრცის განვითარების მიზნით „კანონმდებლობების ჰარმონიზაციის გეგმა“ მიიღეს. როგორ აღიქვამდა მას იმჟამინდელი დე ფაქტო ხელისუფლება – ძნელი სათქმელია, რადგან აფხაზეთში (ფორმალურად – სხვა მიზეზით) დაწყებული საპროტესტო აქციების ფონზე იგი გადადგა და მართვის სადავეებთან სხვა ადამიანები მოვიდნენ. ეს უკანასკნელები მოსკოვის „პარტნიორულ-მეგობრულ“ წინადადებებს აშკარად ენთუზიაზმის გარეშე ეკიდებოდნენ, სანამ კრემლმა „გასაგებად“ არ აუხსნა მოსკოვში დაბარებულ დე ფაქტო პრეზიდენტ ბჟანიას, რომ ეს ის წინადადება არ არის, „რომელზეც სოხუმს უარის თქმა შეუძლია“ და ახლა „მაჰარმონიზებელი“ პაკეტი აფხაზურ „პარლამენტში“ დევს განსახილველად...

„აფხაზეთი ძალზე რთულ ვითარებაში აღმოჩნდა. სტრატეგიულმა პარტნიორმა მიერთებაზე გადასვლა გადაწყვიტა. ჩვენ, რა თქმა უნდა, წინააღმდეგობას გავწევთ, მაგრამ გამოგვივა კი? – ყოველ რაიონში ხომ რუსული ბაზები დგას თანამედროვე შეიარაღებისა და სამხედროების დიდი რაოდენობით. ეს ძალები ძირშივე აღკვეთენ ნებისმიერ ჩვენს მცდელობას, მოხდება კონფლიქტი, რომელსაც რუსეთი საერთაშორისო თანამეგობრობას „ტერორისტებთან ბრძოლად“ ან რაიმე მსგავსად მიასაღებს, ხოლო შემდგომ მიერთებას – ჩვენსავე „უმორჩილეს თხოვნად“, – თვლის ჩვენი ერთ-ერთი სოხუმელი თანამოსაუბრე.

„შავი დღისთვის“ აფხაზი ძალოვნების იმედი მოსახლეობას ვერ ექნება: რამდენიმე დღის წინ, კერძოდ 23 ოქტომბერს მოსკოვში, სტატიის დასაწყისში ხსენებული 2014 წლის ჩარჩოხელშეკრულების საფუძველზე აფხაზეთის დე ფაქტო შსს-სა და რუსეთის შსს-ს შორის გაფორმდა შეთანხმება „აფხაზეთის შს ორგანოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, ასევე ორგანოების მუშაკთა ფულადი და სოციალური გარანტიების უზრუნველყოფის ეტაპობრივი გაუმჯობესების ხარჯების თანადაფინანსების თაობაზე“.

შექმნილ ვითარებაში (თუ სოცქსელების აფხაზურ სეგმენტში გახშირებული ალარმისტული კომენტარებით ვიმსჯელებეთ) აფხაზეთში ყველამ გააცნობიერა, რომ სასწრაფოდ უნდა მოიმოქმედონ რამე, მაგრამ აი რა – ჯერ ცოტას თუ ესმის: განსაკუთრებული იმედი ხომ არც დე ფაქტო ხელისუფლების აქვთ, არც ოპოზიციის.

დე ფაქტო ხელისუფლება უძლებდა როგორც შეეძლო, მაგრამ მოსკოვის მიერ ვითარების **„გასაგებად ახსნის“** შემდეგ ორ ცეცხლს – კრემლსა და საკუთარ მოსახლეობას შუა აღმოჩნდა. ოპოზიცია კი (უპირველესად – წინა დე ფაქტო ხელისუფლების მხარდამჭერი ვეტერანთა ორგანიზაცია „არუაა“, ასევე მისი არაწევრი ყოფილი **„ჩინოსნები“** და სხვა რევანშისტები), რომელიც თითქოსდა „სახელმწიფოებრიობის გადასარჩენად ყველა ჯანსაღი ძალის კონსოლიდაციას“ ემხრობა, რეალურად, მხოლოდ დემორალიზებას ახდენს როგორც დე ფაქტო ხელისუფლების (აკრიტიკებს რა მის ნებისმიერ მცდელობას, მოახლოებული კატასტროფის თავიდან ასაცილებლად ალტერნატიული გზები იპოვოს), ისე საზოგადოების (ერთის მხრივ, იმის საჯაროდ აღიარებით, რომ აფხაზეთსა და რუსეთს შორის „თანასწორი ურთიერთქმედება არ არის“, ხოლო მეორეს მხრივ რუსეთის კვლავინდებურად „ერთადერთ ხსნად“ წარმოჩენითა და ამავდროულად „კოლექტიური დასავლეთის შემოტევის“, „ვულგარული ლიბერალიზმის თესვისა“ და „აღიარების გარეშე ჩართულობის“ საშიში ქართული პოლიტიკის ყბადაღებული ნარატივებით დაშინებით. ამ უკანასკნელის მიზანი ცხადია და ნათელი და ერთი-ერთში ემთხვევა კრემლისას – გაამძაფროს სოხუმის ფრთხილი მიდგომა თბილისთან დიალოგისა და თანამშრომლობის მიმართ, რომელზეც ბოლო დროს დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლები საუბრობდნენ).

საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS) დირექტორ **პაატა გაფრინდაშვილის** აზრით, შექმნილ ვითარებაში უმოქმედობა უკვე დაუშვებელია და დროა, დე ფაქტო ხელისუფლებამ თბილისთან თანამშრომლობის კუთხით თავისი მიდგომისა და ხედვის პრაქტიკული რეალიზება დაიწყოს: „მხედველობაში მაქვს თანამშრომლობის ჩამოყალიბება სავაჭრო-ეკონომიკური მიმართულებით, სოფლის მეურნეობის, ჯანდაცვის, მუნიციპალური განვითარების, განათლების სფეროებში. ყველასთვის ხომ ცხადია და ნათელი, რომ მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი აფხაზეთში სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება; ადგილობრივი ბიზნესის გაძლიერება და, შესაბამისად, სამუშაო ადგილების შექმნა; ადგილებზე პროფესიული შესაძლებლობების გაძლიერება, რაშიც აფხაზეთი ამჟამად სერიოზულ დეფიციტს განიცდის. ყველასთვის ხომ ნათელია, რომ სამუშაო ადგილების შექმნა შესაძლებელია არა იმ ინვესტიციებით, რომლებსაც მოსკოვის მიერ „ნაყიდი“ ვენესუელა და ნაურუ აფხაზეთში არ ჩადებენ, არამედ მხოლოდ ენგურზე მოქალაქეების, ტვირთებისა და ბიზნესის „თავისუფალი გადაადგილებით“.

როგორც გაფრინდაშვილი აღნიშნავს, **„ასლან ბჟანიამ, როგორც ადამიანმა, რომელიც ვაჟკაცობისა და გამბედაობის დეფიციტს არ უჩივის, ახლა უკვე გაცილებით მეტი პოლიტიკური ვაჟკაცობა და გამბედაობა უნდა გამოიჩინოს, შეძლოს საკუთარი პოზიციების დაცვა და მოსკოვისგან ღია ან თუნდაც ნაგულისხმევი თანხმობის მოპოვება სოხუმისა და თბილისის მსგავს თანამშრომლობაზე, მით უფრო, რომ თავის დროზე ამისკენ მოწოდებები, თუნდაც რიტორიკული, არაერთგზის გაუჟღერებია თავად მოსკოვს“.**

ამასთან, მისი თქმით, შექმნილ ვითარებაში ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია, აფხაზმა პოლიტიკურმა ლიდერებმა არ მისცენ სხვადასხვა კორუმპირებულ და რევანშისტულ ძალებს შესაძლებლობა, ინიციატივა თავის ხელში აიღონ და მოახერხონ დღის წესრიგის კარნახი, რისი ნიშნებიც, სამწუხაროდ, უკვე არის. **„იმედი უნდა, ვიქონიო, რომ ვითარების შეცვლა ჯერ კიდევ შესაძლებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, დე ფაქტო ხელისუფლების პოზიციები სერიოზულად შესუსტდება, რაც ნამდვილად არ უნდა შედიოდეს არც მის, არც აფხაზეთის მოსახლეობის ინტერესებში“,** – ამბობს გაფრინდაშვილი.

რაც შეეხება თბილისს, მისი აზრით, აუცილებელია არა მარტო მოსკოვის ანექსიური პოლიტიკის მყისიერი საფრთხის გაცნობიერება, არამედ გაცილებით უფრო ქმედითი ნაბიჯების გადადგმა როგორც სოხუმთან, ისე საქართველოს ევროპელ, ამერიკელ, აზიელ პარტნიორებთან ურთიერთობაში რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ანექსიის თავიდან ასაცილებლად. **„ეს ყველაფერი თბილისისგან გაცილებით მეტ შრომას მოითხოვს, ვიდრე აქამდე ვხედავდით. ახლა, როცა მსოფლიოში არსებულ პრობლემებს პანდემიაც დაემატა, ბევრად მეტი ძალისხმევაა საჭირო საერთაშორისო თანამეგობრობისთვის ხმის მისაწვდენად. თუმცა არც ეს იქნება საკმარისი: საერთაშორისო თანამეგობრობის დღის წესრიგში მყარად უნდა დაიმკვიდროს ადგილი იმის აუცილებლობამ, რომ მოსკოვმა შეასუსტოს თავისი ამკრძალავი მიდგომა გაძლიერებული ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მიმართ და დაუშვას თავისუფალი გადაადგილება ენგურზე, რაც ასე ძალიან სურს რიგითი ადამიანების უმრავლესობას გამყოფი ხაზის ორივე მხარეს“,** – ასკვნის გაფრინდაშვილი.

საინფორმაციო სააგენტო „აძცენტი“

ფაშინიანმა პუტინს დახმარების თხოვნით მიმართა

სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლ ფაშინიანმა ვლადიმირ პუტინს წერილობით მიმართა და სომხეთის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დახმარება სთხოვა.

წერილში ხაზგასმულია ახლო აღმოსავლეთიდან უცხოელი შეიარაღებული ტერორისტების გადაყვანისა და მთიანი ყარაბაღის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებში მათი მონაწილეობის გარემოებები.

ნიკოლ ფაშინიანმა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს მიმართა, დაუყოვნებლივ გამართოს კონსულტაციები, რათა დადგინდეს, რა სახისა და რაოდენობის დახმარება შეუძლია რუსეთს სომხეთისთვის.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲛᲖᲘᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐᲨᲘ ᲐᲨᲔᲜᲓᲔᲑᲐ

ᲛᲖᲘᲡ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲘᲡ ᲐᲗᲕᲘᲡᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲚᲘᲣᲠᲐᲓ ᲘᲐᲤᲓᲔᲑᲐ, ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲬᲘᲚᲘᲪ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲔᲜᲔᲠᲒᲘᲘᲡ ᲯᲐᲛᲣᲠ �გᲔᲜᲔᲠᲐᲪᲘᲐᲨᲘ. ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ 2027 ᲬᲔᲚᲡ 10 �გᲘ�გᲐᲕᲐᲢᲘ ᲡᲘᲛᲫᲚᲐᲕᲠᲘᲡ ᲛᲖᲘᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘᲡ Australia-ASEAN Power Link — ᲒᲐᲮᲡᲜᲐᲡ ᲒᲔᲒᲛᲐᲕᲡ. ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐ ᲔᲥᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲘᲜᲒᲐ�პᲣᲠᲨᲘ ᲒᲐᲕᲐ.

10 გიგავატის სიმძლავრე 7-8 ენგურჰესის ექვივალენტია, რაც თავის მხრივ 13.3 მლნ ცხენის ძალის ტოლია. პროექტი 20 მლრდ ავსტრალიური დოლარი ჯდება. 2020 წლის კურსით ეს თანხა 14.2 მლრდ დოლარს უდრის. პანელები ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში, თითქმის ორი ბათუმისხელა ტერიტორიაზე — 120 კვადრატულ კილომეტრზე განთავსდება. ფართობის გათვალისწინებით პანელების ფერმა კოსმოსიდანაც გამოჩნდება. ელექტროსადგური სინგაპურს 4500 კმ სიგრძის კაბელით დაუკავშირდება. კაბელის 85% ოკეანის ფსკერზე გავა.

მიუხედავად იმისა, რომ დედამიწამდე მზის ენერგიის მემილიარდედზე ნაკლები აღწევს, მისი მოცულობაც კი 1 წამში უფრო მეტია, ვიდრე მთელი პლანეტის მიერ მთელი წლის განმავლობაში მოხმარებული ყველა სახის ენერგია.

მზის ენერგიის ელექტროენერგიად გარდაქმნის პროცესი ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დაიწყო, თუმცა იაფი ნახშირისა და შემდგომ ნავთობის გაბატონების შედეგად ტექნოლოგიური წინსვლა 100 წელზე მეტი ხნით შეყოვნდა. XXI საუკუნეში კი პრაქტიკულად თავიდან გაცოცხლდა. თუ 2004 წელს მზის ელექტროსადგურების ჯამური გენერაცია 2.6 მლრდ კვტ.სთ-ს შეადგენდა, 15 წლის შემდეგ, 2019 წელს ის 27 600%-ით 720 მლრდ კვტ.სთ-მდე გაიზარდა. 2025 წლის საპროგნოზო გამომუშავება 1.94 ტრლნ კვტ.სთ-ს შეადგენს, 2030 წელს კი 3.268 ტრლნ კვტ.სთ-ს გენერაციაა ნავარაუდევი.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲔᲚᲘᲖᲑᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲘᲪᲘᲗ ᲗᲣ ᲐᲠᲐ, ᲠᲝᲛ...

- ᲡᲣᲠᲡᲐᲗᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲖᲔ ᲖᲔ�გᲐᲕᲚᲔᲜᲘᲡ მქონე ბუნებრივ ფაქტორთა ერთობლიობას „ტერუარი“ ეწოდება?
- ᲑᲘᲠᲗᲕᲣᲚᲘ იარაღის მქონე ყველა სახელმწიფოს არსენალი ერთიანად 13865 საბრძოლო ერთეულს შეიცავს, ხოლო კონფლიქტის შემთხვევაში კაცობრიობის გასანადგურებლად სულ 100 ერთეულია საკმარისი?
- ᲡᲞᲘᲚᲔᲜᲫᲘᲡ წვრილ სპარსულ მონეტას „ფული“ ეწოდება?
- ᲐᲤᲠᲔᲜᲐ-ᲓᲐᲤᲠᲔᲜᲘᲡᲐᲡ თვითმფრინავების მაშუქები ფრინველების დასაფრთხობადაა ჩართული?
- ᲩᲘᲜᲔᲗᲨᲘ ქარვას „ვეფხვის სულს“ უწოდებენ?
- ᲐᲨᲨ-ს მე-20 პრეზიდენტს ჯეიმს გარფილდს ერთდროულად ერთი ხელით ბერძნულად, ხოლო მეორეთი ლათინურად წერა შეეძლო?

ᲪᲣᲓᲘ ᲐᲛᲘᲜᲓᲘᲪ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲝᲐ!

ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲘᲡ არამდგრადი ამინდი ხელს უწყობს გრიპის გავრცელებას.

ეს დასკვნა მკვლევარებმა ამინდის მდგომარეობისა და გრიპის ეპიდემიის მასშტაბების შესახებ მონაცემთა შედარების შედეგად გამოიტანეს. ვარაუდობენ, რომ ტემპერატურის ხშირი ნახტომებისებრი ცვლა ადამიანთა იმუნურ სისტემას ასუსტებს, რაც მათ გრიპის ვირუსის ადვილ სამიზნედ აქცევს.



ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲒᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲨᲝᲑᲘᲡ ᲣᲩᲕᲔᲣᲚᲝ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲑᲔᲕᲠᲜᲘ, ალბათ, არც დაკვირვებიან, მაგრამ ყოველდღიურ ყოფაში ჩვენს გარშემო უამრავი საგანი, ნივთი, სამშვენისი თუ დეკორის ნაწილია, რომელთა დანიშნულება ჩვენთვის სრულიად აუხსნელია. არადა, ირკვევა, რომ არაერთი ასეთი რამ სავსებით კონკრეტული მიზნითაა მოგონილი.

მაგალითად, ვის შეუძლია იმის ახსნა, თუ რატომ აქვთ მონეტებს დაკბილული კიდეები? აღმოჩნდა, რომ ფულის მომჭრელები, ანუ ქვეყნების მმართველები, ამ გზით გზას უჭრიდნენ გამყალბებლებს: უწინ მონეტებს ძვირფასი ლითონებისგან (ოქროსგან, ვერცხლისგან) ჭრიდნენ, თაღლითები კი მამაძაღლობდნენ და ოფიციალურად მოჭრილ მონეტებს ნაწილს „აკვნეტდნენ“, რითაც წონაში ამცირებდნენ. დაკბილული კიდეების აღდგენა კი ამ მხრივ მათთვის ხშირად გადაულახავ დაბრკოლებას წარმოადგენდა.

უმრავლესობა ჩვენგანი დარწმუნებულია, რომ ქუდებზე ძაფების ბურთულები — პომპონები — დიზაინერების მოგონილია, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ისინი გაცილებით მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდნენ. ოდესღაც ისინი ფრანგი სამხედრო მეზღვაურების ბერეტების მნიშვნელოვან ატრიბუტს წარმოადგენდნენ — ძველ ხომალდებში დაბალჭერიან კაიუტებში თავის არტყმები — თანაც ღელვის დროს ხშირად ხდებოდა, ამიტომ პომპონები ერთგვარად ამორტიზატორების როლს ასრულებდნენ.

სასწავლო რვეულებში გვერდით მინდვრებზე მასწავლებლები ხშირად ნიშნებს წერენ, მაგრამ ახლა თითქმის აღარავის ახსოვს, რომ თავის დროზე მათი გაჩენა... ვირთაგვების დამსახურებაა. ეს მღრღნელები ყველაფერს ხრავენ, მათ შორის ქაღალდსაც. ამდენად, თუკი წიგნს ან რვეულს თაგვები დაღრღნიან, მთლიანად ნაშრომის კიდეზე დატოვებული მინდორი მისი ერთგვარი „დამზღვევი პოლისი“ იქნება, რადგან საჭირო ინფორმაცია განადგურებას გადაურჩება.

ბევრი ოხუნჯი ჯინსის შარვალზე მიკერებული მინი-ჯიბის დანიშნულებად... პრეზერვატივის შესანახ სამალავად „ნათლავს“, თუმცა კი პირველი ჯინსის შემქმნელმა ლივაი სტრაუსმა მე-19 საუკუნის დასაწყისში ისინი ჯიბის საათებისთვის დააკერა. მერე და მერე საათების მაჯაზე ტარება დაიწყეს, თუმცა საფირმო მინი-ჯიბეები ჯინსის შარვლებზე დღესაც არის.

დარწმუნებული ვართ, რომ არაერთი ახალი ნივთიდან ხშირად აგიჭრიათ პატარა პარკი შიგ ჩადებული ქსოვილის ნაჭრით, რომელზეც ფოლაქია დაკერებული. როგორ გგონიათ, ამ ნაჭერს ნივთის დაზიანების შემთხვევაში დასაკერებლად დებენ მწარმოებლები? სულაც არა, მას ერთგვარი ტესტერის ფუნქცია აქვს, რათა პატრონმა დაინახოს, თუ რა მოუვა ნაჭერს რეცხვის შემდეგ — ხომ არ გახუნდება, ან ხომ არ „დაჯდება“ ის. სათადარიგო ფოლაქის ფუნქცია კი სავსებით გასაგებია.

მოამზადა
ᲝᲗᲐᲠ ᲤᲣᲠᲐᲑᲔᲚᲘᲫᲔ

ᲒᲐᲣᲠᲙᲕᲔᲕᲔᲚᲘ ᲬᲘᲜᲐ�პᲠᲘᲡ �გᲔᲜᲔᲑᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲨᲘ

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ცნობილი უძველესი ადამიანების — ნეანდერტალელებისა და დენისოველების გენომების ახალმა ანალიზებმა გამოავლინა ჩვენი სახეობის ჯერ კიდევ გაურკვეველი წინაპარი, შორეული ოჯახური ხის შტო, რომელიც მასზე მიბმული არ არის.

კვლევამ ასევე აღმოაჩინა ადამიანებისა და ნეანდერტალელების შეჯვარების დამატებითი მტკიცებულება, მაგრამ ის გაცილებით უფრო შორს გადასწია, ვიდრე აქამდე ვიცოდით — 200 000 — 300 000 წლით უფრო უკან. შესაბამისად, ეს შეჯვარება ახალ ცნობებს მატებს ჩვენი, როგორც სახეობის წარმოშობისა და აფრიკიდან მიგრაციის სულ უფრო გართულებულ ისტორიას.

არსებობს შესაძლებლობა, რომ ეს უცნობი წინაპარი სინამდვილეში ჰომო ერექტუსი იყოს, ადამიანის არქაული წინაპარი, რომელიც დაახლოებით 100 000 წლის წინ გადაშენდა; თუმცა, არის თუ არა გაურკვეველი წინაპარი მართლაც ის, დარწმუნებით არ ვიცით, რადგან ჰომო ერექტუსის დნმ ჯერ აღმოჩენილი არ არის.

„ამ კვლევაში ამაღელვებელი ის არის, რომ წარმოაჩენს, რა შეგიძლია ისწავლო ადამიანის შორეული ისტორიის შესახებ სრული ევოლუციური ისტორიის ერთობლივი რეკონსტრუქციით თანამედროვე ადამიანებისა და არქაული ჰომინინების გენომური თანმიმდევრობების საშუალებით“, — ამბობს ნიუ-იორკის ქოლდ-სპრინგ-ჰარბორის ლაბორატორიის ბიოლოგი **ᲐᲓᲐᲛ ᲡᲘᲞᲔᲚᲘ**.

ისევე როგორც ბოლო პერიოდის სხვა კვლევებში, გენომების მახასიათებლების სიღრმეებში შესაღწევად ჯგუფმა ბაიესის ალგორითმი გამოიყენა. ამ შემთხვევაში, ისინი იკვლევდნენ ორი



უძველესი ნეანდერტალელის, ერთი უძველესი დენისოველისა და ორი თანამედროვე აფრიკელი ადამიანის დნმ-ებს. ამის შემდეგ, მოდელის დამთხვევა შესაძლებელია გარკვეული პერიოდების შერეულ დნმ-თან.

ალგორითმი ეძებდა რეკომბინაციის მოვლენებს, რომლებშიც ერთმანეთშია შერეული ქრომოსომთა ორი წყება, რაც მეცნიერებს საშუალებას აძლევს ამ სახეობათა შეჯვარების ძალიან, ძალიან შორეულ ისტორიაში ჩაიხედონ, რადგან ამის შედეგად რჩება გენეტიკური მარკერები. მკვლევართა ცნობით, დენისოველი ადამიანის დნმ-ის დაახლოებით ერთი პროცენტი უცნობი წარმოშობისაა.

კვლევაში გამოიყენეს ახალი ალგორითმი, სახელად ARGweaver-3, რომელიც კორნელის უნივერსიტეტის კომპიუტერულმა **ბიოლოგმა მელისა ჰუბიშმა შექმნა**. იგი წარმოადგენს თავდაპირველი **ARGweaver**-ის გაგრძელებას, რომელიც შექმნილია მემკვიდრეობითი რეკომბინაციის გრაფების (ARG) შესასწავლად იმ გზით, რაც სტანდარტული სტატისტიკური გათვლებით შეუძლებელია.

„მელისას მიერ შექმნილ ამ ახალ ალგორითმს, ARGweaver-D-ს, შეუძლია დროში იმაზე გაცილებით შორს, უკან ჩაიხედოს, ვიდრე სხვა ნებისმიერ კომპიუტერულ მეთოდს. ის განსაკუთრებით მძლავრი ჩანს უძველესი ინტროგრესიის (გენეტიკური ინფორმაციის გადაცემა სახეობებს შორის შეჯვარების შედეგად) დასაფიქსირებლად“, — ამბობს ადამ სიპელი.

კვლევის მიხედვით ირკვევა, რომ დენისოველთა გენომში აღმოჩენილი ამ იდუმალი, „სუპერ-არქაული“ დნმ-ის რეგიონების 15 პროცენტი ჯერ კიდევ ცირკულირებს თანამედროვე ადამიანებში. ალბათ მალე ვიხილავთ, რა გაირკვევა თანდათანობით ამ ნაკლული სახეობის შესახებ.

კვლევის კიდევ ერთი აღმოჩენა ის იყო, რომ ნეანდერტალელის დნმ-ის 3-7 პროცენტზე არის უძველესი ჰომო საპიენსის გავლენა, რაც ხაზს უსვამს იმ შეჯვარებათა რაოდენობას, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ხდებოდა, 50 000 წლის წინ თანამედროვე ადამიანთა წინაპრების აფრიკიდან დიდ მასობრივ მიგრაციამდე ადრე.

„ეს ქრონოლოგია შეუსაბამო ჩანს გენეტიკურ გაცვლა-გამოცვლასთან, რომელშიც ჩართული იყვნენ თანამედროვე ევრაზიელთა უმეტესობის წინაპრები, რომლებიც აფრიკიდან დაახლოებით 50 000 წლის წინ გამოვიდნენ. ამის ნაცვლად, ჩვენ მიერ მიღებული ქრონოლოგია გვთავაზობს უფრო ადრეულ მიგრაციას, რომელიც სულ მცირე 200 000 წლის წინ მოხდა“, — წერენ მკვლევრები.

მათივე განცხადებით, მტკიცებულებათა ორთოგონალური ხაზები ახლა მხარს უჭერს აფრიკიდან ერთი ან მეტი უფრო ადრეული მიგრაციის შესაძლებლობას.

ნამდვილად შთამბეჭდავია იმის გაცნობიერება, რამდენი რამის სწავლა შეგვიძლია წარსულის მოვლენათა შესახებ დნმ-ის ჩანაწერებზე უბრალოდ უკეთესი ალგორითმის მორგებით. სავარაუდოა, რომ ჩვენი წინაპრების გენეტიკური ისტორიის შესახებ წინ ჯერ კიდევ ბევრი აღმოჩენა გველოდება.

კვლევა ჟურნალ PLOS Genetics-ში გამოქვეყნდა.

მომზადებულია phys.org-ისა და ScienceAlert-ის მიხედვით.
ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲭᲐᲒᲣᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ

◎ მარად ჩვენთან

იმედის კაცი

მადლობა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები 31 ოქტომბერს რომ დანიშნა.

დიდი ალბათობით, ამ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილების მიმღებთ არცკი მიუქცევიათ ყურადღება, უნებლიედ, როგორ ძვირფას თარიღს დაამთხვიეს აღნიშნული მოვლენა.

დიახ, სწორედ ბადრი პატარკაციშვილის დაბადების დღეს უნდა მიეღო მორიგი ალიყური ბოროტების ფაბრიკას, ოდესღაც ნაციონალური მოძრაობა რომ დაირქვა და სინამდვილეში ეროვნულ უბედურებად გვექცა.

კაცი, რომელმაც არა მარტო ტელე, არამედ, ზოგადად, საყოველთაო იმედი გვაჩუქა, ქართული სპორტისა და ოლიმპიური მოძრაობის ჟანგბადის ბალიშადაც მოგვევლინა და, მართალია, ბევრი უკეთური ნაამაგარი მედროვისგან უმადურობა მიიღო პასუხად, მაგრამ, რაც მთავარია, საკუთარ სინდისთან, ქალაქელობასთან და დედასამშობლოსთან დარჩა პირნათელი.

გილოცავთ, დიდო მამულიშვილო, კიდევ ერთ 31 ოქტომბერს, უკვე იქ, სადაც მართალნი განისვენებენ, და ცოდვილებზე ღირსეულთა მიერ მოპოვებულ ისტორიულ გამარჯვებას.

იდღეგრძელეთ, ქალბატონო ნათელა საფიცარ მონაგართან ერთად, ასეთი საამაყო ვაჟკაცის აღზრდისათვის!

გია პლატონიშვილი

◎ ვარსკვლავები... ცალობით

მესი და რონალდუ - „თამაშგარეშე“

გავლენიანმა პორტალმა „თრანსფერმარკმა“ თანამედროვეობის ყველაზე ძვირადღირებულ ფეხბურთელთა ნაკრები შეადგინა, საიდანაც ერთი სენსაციური გარემოება გაირკვა.

კერძოდ, მას შემდეგ, რაც რჩეულნი ჩვეული პოზიციების მიხედვით განალაგეს, ამ ვირტუალურ გუნდში ისეთი კაშკაშა ვარსკვლავები ვერ მოხვდნენ, როგორებიც ლიონელ მესი და კრიშტიანუ რონალდუ არიან.

ალბათ, იკითხავთ — რაშია საქმე? აღმოჩნდა, რომ უკანასკნელი სეზონის განმავლობაში „წრიპასა“ და „ლამაზი კრიშტოს“ ფასებმა საგრძნობლად დაიკლო, რის გამოც მათ უფრო ახალგაზრდა კონკურენტებმა გაუსწრეს.

კონკრეტულად, 33 წლის არგენტინელი ერთ წელიწადში 40 მილიონი ევროთი გაიაფდა და ამჟამად „მხოლოდ“ 100 მილიონი ევრო ღირს, ხოლო 35 წლის პორტუგალიელი 2018 წელთან შედარებით ორჯერ „ამჩატდა“ და 120 მილიონი ევროდან 60 მილიონ ევრომდე „დაეშვა“.

დავძენთ, რომ მესისა და რონალდუს ადგილები დასახელებულ სიაში 21 წლის ფრანგმა კილიან მბაპემ და 28 წლის ბრაზილიელმა ნეიმარმა დაიკავეს, ხოლო საუკეთესოთა ოცეულის ჯამური სატრანსფერო ღირებულება მილიარდ 191 მილიონი ევროა.

ოთარ ტურაბელიძე

◎ ექვსი ერი

ინგლისის სახელით

მაშინ, როცა საქართველოში საარჩევნო ციებ-ცხელებამ პიკს მიაღწია და დუღილის ტემპერატურა დასაშვებ ნორმას საგრძნობლად გადასცდა, ემოციები მოჭარბებული დოზით სარაგბო ექვს ერშიც იფრქვეოდა.

დასკვნთი ტურის კალენდარმა ისე ინება, რომ შარშანდელმა ჩემპიონმა უელსმა, რომელმაც წლევანდელი სეზონი ჩააფლავა და ტიტულს კარგა ხანია გამოეთხოვა, კარდიფის „პრინსიპალიტი არენაზე“ შოტლანდიასთან მეოთხე მარცხი იწვნია — 10:14 და ტურნირი სამარცხვინო — მეხუთე პოზიციაზე დაასრულა. სტუმრებმა პრინციპულ მეტოქეს 2002 წლის შემდეგ გასვლაზე პირველად მოუგეს და ეს გამარჯვება ლეგენდარული თანამემამულის, უკვდავი ჯეიმს ბონდის როლის პირველი შემსრულებლის შონ კონერის ხსოვნას მიუძღვნეს, რომელიც სწორედ იმ დღეს გარდაიცვალა.

რაც შეეხება წოდებას, მის დასაუფლებლად დიდი ნაბიჯი გადადგა ინგლისმა, რომელიც უიმედო აუტსაიდერ იტალიასთან საომრად რომში უძლიერესი შემადგენლობით ჩავიდა და პროგრამა — მინიმუმს — მინიმუმ ოთხი ლეელოს, ანუ საპრემიო ბონუს ქულის უპირატესობით წარმატებას — თავი უპრობლემოდ გაართვა — 34:5.

ასე რომ, კორონაპანდემიის გამო გაჭიანურებული მარათონის ბოლო შეხვედრამ საფრანგეთსა და ირლანდიას შორის ინტრიგა დაკარგა და ფორმალობად იქცა, რადგან რაგბის სამშობლოს ქვეშევრდომებს პირველი ადგილიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში დააქვეითებდნენ, თუ რომელიმე მათგანი საწადელს ძალიან დიდი ჰანდიკაპით მიაღწევდა, ეს კი თანაბარძალოვან ოპონენტთა დუელში უტოპიას ჰგავდა. მართლაც — 35:27.

საბოლოო მდგომარეობა: ინგლისი, საფრანგეთი, შოტლანდია, ირლანდია, უელსი, იტალია.

კობა კობახიძე

◎ დიდოსტატი

ღრუბელთა საუფლოში

31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ქართველმა ხალხმა გაიმარჯვა და სიმბოლურიცაა, რომ ჩვენი დღევანდელი წერილი ქართული საკლუბო სპორტის უდიდესი მიღწევის ერთ-ერთ გმირს — ვლადიმერ უგრეხელიძეს ეძღვნება, რომელსაც შარშან დაბადებიდან 80 და გარდაცვალებიდან 10 წლისთავი შეუსრულდებოდა.

თავისი თაობის ბავშვთა მსგავსად, — მაგალითად, გურამ მინაშვილმა სპორტული ცხოვრება ცურვით დაიწყო — მანაც ბევრ სახეობაში მოსინჯა ძალები: მძლეოსნობა, ფეხბურთი, ხელბურთი, ფრენბურთი, სადაც ვაჟა კაჭარავასთან ერთად ვარჯიშობდა, ჭადრაკი, რომელშიც მიხეილ შიშოვი თვით ნონა გაფრინდაშვილის პარალელურად მწვრთნიდა, მაგიდის ჩოგბურთი. საბოლოო არჩევანი მეგობრის — კობა ჯიჯიხიას რჩევით კალათბურთის სასარგებლოდ გააკეთა და მან „ტონოში“ მიხეილ კეკელიძესთან მიიყვანა. მაშინ 17 წლის იყო.

წარმოიდგინეთ, როგორი პატივი იყო 19 წლის ჭაბუკისთვის, როცა გიორგი ავალიშვილმა თბილისის „დინამოში“ მიიწვია, სადაც ნამდვილი თანავარსკვლავედი დახვდა: ოთარ ქორქია, ნოდარ ჯორჯიკია, ვაჟა გვანცელაძე, ლევან ინწკირველი, ალექსანდრე კილაძე, გურამ აბაშიძე. სწორედ მაშინ იწყებოდა გუნდში თაობათა ცვლის მტკივნეული პროცესი.

აქვე უნდა ითქვას, რომ გულშემატკივართათვის საყვარელი მეტსახელი — „პტიცა“ ჯერ კიდევ დედაქალაქის ვაჟთა მე-14 რუსულ სკოლაში სწავლისას თანაკლასელმა მურაჟინოვმა შეარქვა, როცა მძლეოსნობის გაკვეთილზე ჩიტივით შეასრულა ნახტომი.

ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში წარმატებები არ მოჰკლებია, მაგრამ განსაკუთრებით აფასებდა 1959 წლის სსრკ ხალხთა სპარტაკიადის ნახევარფინალში მოედანზე დარჩენილი სამი მოთამაშით ევროპის მოქმედ ჩემპიონთა — ლატვიელთა დამარცხებას და 1962 წლის 29 ივნისს ჟენევაში მადრიდის „რეალთან“ (90:83) ჩემპიონთა თასის მოპოვებას.

აი, შვეიცარიული ტრიუმფის „პტიცასეული“ შეფასება, რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ ღირსეული პიროვნების სამართლიანობას: **„ყველა თავგამოდებით თამაშობდა და თითოეულმა დიდი წვლილი შეიტანა ამ გამარჯვებაში. ოთარ ქორქიამ ჩინებულად უხელმძღვანელა გუნდს, თუმცა, მასთან ერთად გიორგი ავალიშვილიც უნდა გავიხსენოთ, რომელიც ბატონ ოთარიმდე იყო ჩვენი მწვრთნელი და რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ჩვენს გამარჯვებას“.**

აქვე გთავაზობთ ისტორიული შეხვედრის ოქმს.

„დინამო“ - „რეალი“ 90:83 (38:36).

„დინამო“ *— ვალერი ალთაბაევი (17 ქულა), ანზორ ლეჟავა (16), ვლადიმერ*



უგრეხელიძე (14), ალექსანდრე კილაძე (14), ალექსანდრე პეტროვი (12), გურამ მინაშვილი (9, გუნდის კაპიტანი), ლევან მოსეშვილი (3), ლევან ინწკირველი (3), ილარიონ ხაზარაძე (2 ქულა), რევაზ გოგელია, ამირან სხიერელი.

მწვრთნელი: *ოთარ ქორქია.*

„რეალი“ *— უეინ ჰაითაუერი (30), ემილიანო როდრიგესი (21), სტენლი მორისონი (12), კარლოს სევილიანო (11), ხოსე ლუისი (5, გუნდის კაპიტანი), მანუელ საინსი (4 ქულა). პედრო იოპი, რამონ დურანდი, ხულიო დესკარტინი, ანტონიო პალმერო, ლორენსო ალოსენი.*

მწვრთნელი: *პედრო ფერნანდესი.*

მსაჯები: *ერვინ კოშაი (უნგრეთი), როჟე ვებერი (შვეიცარია).*

ჩვენს სახელოვან თანამემამულეს ისეთი ვარსკვლავების წინააღმდეგ უთამაშია, როგორებიც ამერიკელები ოსკარ რობერტსონი, ჯერი ლუკასი, იუგოსლავი რადივოე კორაჩი და ბრაზილიელი ამაურო დონ პასო იყვნენ, ხოლო ყველაზე უხერხულ მეტოქეებად პაულაუსკასსა („ჟალგირისი“) და სემიონოვს (ცსკა) მიიჩნევდა.

სხვათა შორის, რომის ოლიმპიადას უკავშირდება მისი ორივე „საფირმო“ კურიოზი: ნახევარფინალში პუერტო რიკოსთან ბურთის მეტოქის კალათში ჩატენვისას ფარი მოწყდა, შუშა ჩაიმსხვრა და იქიდან სამშობლოში სუვენირებად წამოღებული კონსტრუქციის ნატეხები მოგვიანებით შვილიშვილებმა საბოლოოდ დაულეწეს, ხოლო მასპინძლებთან შეხვედრის დროს „სკუადრა აძურას“ ლიდერ ვიონელოსთან გურამ მინაშვილის ერთ-ერთ ეპიზოდში შეჯახებას „ტიფოზების“ მხრიდან იქაური მონეტების დაშენა და იმ ხურდა ფულით მეორე დღეს იტალიური ფირფიტების შეძენა მოჰყვა.

დიდ სპორტსმენს კუმირებიც კორიფეები ჰყავდა: ქართველთაგან — ოთარ ქორქია, მსოფლიოში კი — ამერიკელები ბილ რასელი და უილტონ ჩემბერლენი.

რაც შეეხება გულისტკივილს, თვით ბატონ ვლადიმერ უგრეხელიძეს მოვუსმინოთ: **„1972 წელს შესანიშნავ კონდიციებში ვიყავი და ოლიმპიურ ნაკრებში მოხვედრის იმედიც მქონდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც გუნდის მთავარი მწვრთნელი გომელსკი კონდრაშინმა შეცვალა, პოზიციები შემისუსტდა და მიუნხენში ჩემი კონკურენტი გენადი ვოლნოვი (ცსკა) წაიყვანეს, რომელსაც იმ პერიოდში ხეირიანად არც უთამაშია. ოლიმპიური „ოქრო“ რომ ვერ მოვიგე, ცხადია, ძალიან დამწყდა გული, მაგრამ მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის წარმატებამ მაინც ძალიან გამახარა!“**

ვიტალი ჯაფარიძე

სადარბაზო ბარათი

კარიერა: თბილისის „ტონო“, თბილისის „დინამო“, საბჭოთა კავშირის ნაკრები.

ტიტულები: რომის XVII ოლიმპიური თამაშების ვიცე-ჩემპიონი, მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი, ევროპის ჩემპიონი, ჩემპიონთა თასის მფლობელი, სსრკ ჩემპიონი, სსრკ ვიცე-ჩემპიონი (სამგზის), სსრკ ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი, სსრკ თასის მფლობელი, სსრკ ხალხთა სპარტაკიადის ვიცე-ჩემპიონი.

უნგრეთში ღვინის დაყენების ქართული წესის გამოყენება დაიწყეს

პიტერ ნადი და მისი ოჯახი იყვნენ პიონერები, რომლებმაც უნგრეთში ღვინის დაყენების ქართული ათასწლოვანი ტრადიციული მეთოდის გამოყენება დაიწყეს. ამის შესახებ ადგილობრივი გამოცემა **gazdasag** წერს. **„ღვინის დაყენება ამფორის ფორმის ქოთნებში, ანუ ქვევრში ხდება. რთველი დასასრულს უახლოვდება, ქვევრში კი ღვინო მზადდება“,** — წერს გამოცემა.

გამოცემის ცნობით, პიტერ ნადიმ და მისმა ოჯახმა მეღვინეობას საფუძველი ჩაუყარეს უნგრეთის სამხრეთით მდებარე ღვინის რეგიონის ბაჩ-კიშკუნის სოფელ მორიცგატში, როდესაც 1870 წელს გაშენებული მამული ააღორძინეს და დაახლოებით ათიოდე წლის წინ პირველი ვენახები გააშენეს.

მათი დაუღალავი შრომის შედეგად, მამულს სიცოცხლე დაუბრუნდა. მათ სამჰექტარიან ვენახში გენეროზას, ბლუ ფრანკისა და იტალიური რისლინგის ყურძნის ჯიშები დარგეს. „მიუხედავად იმისა, რომ ღვინის თიხის ჭურჭელს უნგრეთში ამზადებენ, დაჟინებით გვსურდა გვქონოდა ორიგინალური ქართული ქვევრი, რომელიც სათავგადასავლო მარშრუტით ჩამოგვივიდა უნგრეთში: თავდაპირველად შავი ზღვის გავლით ამერიკულ სამხედრო ტვირთთან ერთად ბულგარეთის ქალაქ ვარნის ნავსადგურში ჩავიდა, საიდანაც ავტომანქანით მორიცგატში მოხდა მისი გადმოტანა. დღესდღეობით, ღვინო მიწაში ჩაფლულ რვა ქვევრშია დაყენებული, მომავალში კი ვფიქრობ გაფართოებას სხვადასხვა სახის ღვინის დამზადების მიზნით“, — ჰყვება გამოცემასთან პიტერ ნადი.

პიტერ ნადი ასევე აღნიშნავს იმას, რომ **მეღვინეობა მისთვის ცხოვრების წესია. მისთვის მნიშვნელოვანია ღირებულის შექმნა ბუნებასთან ჰარმონიაში. ჩვენ ვისწრაფვით ნიადაგის ნაყოფიერების ოპტიმალურად გამოყენების და უნგრეთის დიდი დაბლობის (Great Hungarian Plain) ღვინოების წარმოებასთან ერთად ქართული მეთოდით დამზადებული ქვევრის ღვინის ფართო პოპულარიზაციისაკენ. პიტერის ცხოვრების წესი ვაჟიშვილმა, შიმონმა აიტაცა, რომელმაც მის მსგავსად უმაღლესი განათლება ჯერ მემცენარეობაში (horticulture), ხოლო შემდეგ მევენახეობა-მეღვინეობის განხრით მიიღო. ბოლო წლებში მან სერიოზული პროფესიული გამოცდილება დააგროვა როგორც უნგრეთის, ასევე საქართველოს მეღვინეობებში, რომელსაც ახლა საკუთარ ვენახს მოახმარს. „აქ სამუშაოების შეჩერება შეუძლებელია. ეპიდემიის პერიოდშიც კი ყველაფერს საკუთარი ხელით ვაკეთებთ, მექანიზაციის გარეშე და მალე ორგანულ მეურნეობაზე გადასვლას ვგეგმავთ“,** — აღნიშნა მასპინძელმა სამომავლო გეგმებზე საუბრისას.

გამოცემასთან შიმონიც საუბრობს, რომელიც აღნიშნავს, რომ თავდაპირველად უჭირდა იმ ფაქტთან შერიგება, რომ შედეგები უცებ არ მოდის და ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც დაგეგმილი იყო: **„დიდი ძალისხმევით, არც თუ ისე თვალსაჩინო ნაბიჯებით მივიწევთ წინ, მაგრამ ჩემთვის ეს ფანტასტიკური საქმიანობაა: მიუხედავად ბევრი სირთულისა, ძალიან სასიამოვნოა, როდესაც ვიზიტორები ჩვენგან კმაყოფილი მიდიან, როდესაც გამოფენიდან კმაყოფილი ვბრუნდებით, როდესაც კარგი ღვინო გამოგვდის და ვაზი ჯანსაღია — უნდა ვაღიარო, რომ ეს „წვრილმანები“ ბედნიერებას გვანიჭებს“,** — აღნიშნავს ღვინის ახალგაზრდა ექსპერტი.

პიტერ ნადი სიამაყით აღნიშნავს, რომ **მოროცგატში 150 წლის საკარმიდამო მამული აღადგინა და პირვანდელი სახე მიაღებინა. იგეგმება სამეურნეო ნაგებობების სრული რეკონსტრუქცია ბუნებრივი ნედლეულის გამოყენებით. ამასთან ერთად ქვევრებისთვის მზადდება დახურული მარანი. პიტერ ნადის მეურნეობა, სადაც რეგულარულად მუსიკალური და ლიტერატურული საღამოები ტარდება, ღიაა ვიზიტორებისათვის.**

ღვინის ქვევრში დაყენების ქართული წესი 8000 წელიწადს ითვლის. პიტერი დიდი ენთუზიაზმით საუბრობს ამ უძველეს მეთოდზე, რომელსაც იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული.

ქვევრი ფუტკრის ცვილით დამუშავებული თიხის ჭურჭელია, რომელიც მთლიანად მიწაშია ჩაფლული, იმისათვის, რომ ფერმენტაცია მუდმივ დაბალ ტემპერატურაზე მიმდინარეობდეს. ქვევრის ტევადობა ათასობით ლიტრამდე განისაზღვრება. ქვევრში ყურძნის წვენს კანთან და წიპწასთან ერთად ათავსებენ და ხის თავსახურით ხურავენ. 8-9-თვიანი ფერმენტაციის შედეგად ღვინო ტანინით, ანტიოქსიდანტებითა და ფენოლით მდიდრდება, რასაც დადებითი ფიაიოლოგიური ეფექტი აქვს. ამ მეთოდით დაყენებული ღვინის ხარისხს მაცერაცია და პროცესში ხელოვნური ჩარევის მინიმუმამდე დაყვანა იძლევა.

„მოით, მოქუჩდით, ამბავს ავწერ ადრინდელსა“

რუბრიკას უძღვება ქეთევან ყუბანეიშვილი

„მუხრანსკი კვდება კატინასთვის ი ნი ნა შუტკუ“

ალექსანდრე ბაგრატიონ-მუხრანელი

ვიმყოფებით **რა ანჩისხატის უბნის ცენტრალურ ნაწილში, სადაც XVII საუკუნიდან დასახლებულან ორბელიანები, ამილახვარები, არაგვისა და ქსნის ერისთავები და სხვანი და სხვანი, გზად მივუყვებით ტფილისის გალავნის ჩრდილოეთ კედელს, სადაც XVIII საუკუნეში აშენდება სასახლე მუხრანბატონისა და მას მერე გაჩნდება ჩვენს თბილის-ქალაქს მუხრანის კარი, მუხრანის ხიდი, მუხრანის ბორანი ანუ მუხრანთუბანი.**

კონსტანტინე მუხრანბატონი

ივანე ბაგრატიონ-მუხრანელი

მუხრანთუბანი — ეს დღევანდელი ბარათაშვილის ქუჩაა, მისი მიმდებარე მიწა-წყლით. აქ ხომ მუხრანის კარიბჭით (ვახუშტისეული „მეიდნის კარი“) შეხვიდოდით ქალაქს და მუხრანისვე ქუჩით მოხვდებოდით „სალდათის ბაზარში“ (დღ. ორბელიანის მოედანი), ხოლო მტკვრის ნაპირებზე, მუხრანისვე ბორნით, ადვილად გადი-გადმოდიოდით. ამბობენ, ბორანს, ყოველ ერთ საათში იმდენი მგზავრი გადაჰყავდა, რაც რომ დღე-ღამის განმავლობაში ვერის ხიდზე ხალხი დადიოდაო; ჰო, მაგრამ იმასაც ამბობენ, ბორანს, ხშირად მტკვრის წყალი იტაცებდაო, ზოგჯერ მსხვერპლიც

მუხრანის ბორანი

მოჰყვებოდაო და ამის გამო, მუხრანის ხიდთან სამაშველო წერტიც დაარსდაო.

მუხრანბატონების წინაპარი კი ქართლის მეფე კონსტანტინე II გახლდათ, რომელიც 1505 წელს გარდაიცვალა და რომლის მემკვიდრემ, მეფე დავით X-ემ, თავის ძმას, ბაგრატს, საუფლისწულოდ, დიდი მამულები უბოძა და მას შემდეგ, საგვარეულოს უფროსს მუხრანბატონი ეწოდა, მოგვარეებს კი — მუხრანბატონიშვილები.

აი, ამ წარმომავლობის გახლდათ პეტერბურგის პაჟთა კორპუსის კურსდამთავრებული, შამილსა და ომერ-ფაშასთან ბრძოლაგამოვლილი გენერალ-ლეიტენანტი, წმ. გიორგის ორდენოსანი — წარმოსადეგი გარეგნობის, მსხვილი მემამულე ივანე მუხრანბატონი, რომელიც კატინასათვის კვდებოდა...

ივანე მუხრანბატონს თავდავიწყებით შეჰყვარებია ეკატერინე ჭავჭავაძე და „ღვთიური კატინკა“, ცოლობაზეც კი დაუთანხმებია, მაგრამ ჯვრისწერისთვის ხომ ეკატერინეს მამის— ალექსანდრე ჭავჭავაძის თანხმობა იყო საჭირო, რომელიც იმხანად პეტერბურგში მსახურობდა და მუხრანსკი პეტერბურგს გამგზავრებულა. გამგზავრებულა ჯვრისწერის ნებართვის ასაღებად, მაგრამ... ოჯახის უფროსი რატომღაც, ჯვრისწერას წინ აღუდგა და ივანეს „ქალი არ მისცა“... ქალაქში კი ხმა დაირხა „მუხრანსკი კვდება კატინასთვის ი ნი ნა შუტკუო...“

მოგვიანებით მუხრანბატონი ლევან დადიანის ქალს შეირთავს ცოლად და ... თუმცა აქ მოსაყოლი დიდად არც არაფერია და გადავალ სხვა ისტორიებზე.

საფრანგეთში მოგზაურობისას ივანე მუხრანბატონმა შეისწავლის ღვინის დაყენების ევროპულ ტექნოლოგიას და გადაწყვეტს საქართველოში ღვინის საწარმოს აშენებას. ამ მიზნით საფრანგეთიდან მოიწვევს არქიტექტორებს, მევენახეებს, ვერსალის მებაღეებს და ქართლში, მუხრანის მინდვრებზე, დააარსებს „შატო მუხრანს“, რომელიც გადაიქცევა ქართველ დიდებულთა თავშეყრის ადგილად და არამარტო ქართველ დიდებულთა — 1888 წელს შატო მუხრანს თავად რუსეთის დიდი იმპერატორი ალექსანდრე III ეწვევა со свитой.

დასასრულს კი, იმ კონფლიქტზე მსურს გიამბოთ, ილია ჭავჭავაძესა და მუხრანსკის შორის რომ დაიწყო. ილია ჭავჭავაძე გლეხთა მიწით გათავისუფლების მომხრე გახლდათ, მუხრანსკი მხარს უჭერდა გლეხთა უმიწოდ გათავისუფლებას და უთქვამს — „გლეხთათვის მამულის მიცემაზედ არვინ თანხმდება, გარდა ერთი კაცუნასაო“. ილიამ ეს სიტყვები, პირად შეურაცხყოფად მიიღო და, რა თქმა უნდა, შეუტია, კონფლიქტი გაღრმავებულა და...

...მუხრანსკი ილიას ბოდიშს მოუხდის...

1895 წელს, 83 წლის ასაკში, გარდაიცვლება მუხრანთუბნის ერთ-ერთი უკანასკნელი მეპატრონე ივანე მუხრანბატონი (დაკრძალულია სვეტიცხოველში). მისი გარდაცვალების შემდეგ ქონების განმკარგავი კი გახდება მისივე შვილი კონსტანტინე, მაგრამ კონსტანტინეს შვილი არ ეყოლება და მუხრანბატონთა ტიტული გადავა ალექსანდრე ბაგრატიონ-მუხრანელზე (1903 წ.), რომელიც პიატიგორსკში, მეფის არმიის სხვა გენერლებთან ერთად ბოლშევიკებმა ღამით, მხეცურად აჩეხეს...



ღვაწლი დაუფასდათ

ᲓᲕᲘᲜᲝᲒᲘᲡᲗᲕᲔᲨᲘ საქველმოქმედო საზოგადოება „ამაგდარის“ (თავმჯდომარე **ვახუშტი ქიზიყურაშვილი**) ოფისში გაიმართა ამავე საზოგადოების და დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის (საპატიო თავმჯდომარე ვანო ნატროშვილი, თანათავმჯდომარე ნანა ჭიჭინაძე) მიერ მეცნიერების, განათლების და კულტურის სფეროს წარმომადგენლების გამოკითხვის შედეგად გამოვლენილი „საუკუნის ადამიანის“ და „ახალგაზრდა პროფესიონალის“ დაჯილდოების ცერემონია.

საქველმოქმედო საზოგადოება „ამაგდარის“ თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა ვახუშტი ქიზიყურაშვილმა აღნიშნა, რომ დაჯილდოების ცერემონია უნდა გამართულიყო მიმდინარე წლის 25 მარტს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში, მაგრამ იგი პანდემიის გამო გადაიდო, ამიტომ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ ჩვენს ოფისში (ანდრია ბალანჩივაძის ქუჩა №40) ეტაპობრივად დაგვეჯილდოებინა ნომინაციაში „საუკუნის ადამიანი“ და „ახალგაზრდა პროფესიონალი“ ლაურეატები.

პირველ ეტაპზე დაჯილდოვდნენ **„საუკუნის ადამიანის“** ნომინანტები:

მერაბ კოკოჩაშვილი – კინორეჟისორი; **ლანა ღოღობერიძე** – კინორეჟისორი; **გურამ ქაშაკაშვილი** – მეცენატი და ქველმოქმედი.

მეორე ეტაპზე დაჯილდოვდნენ:

ლერი კვაჭანტირაძე – სრულიად საქართველოს მამულიშვილთა კავშირის „გვარიშვილობის“ პრეზიდენტი; **ვაჟა მამაიაშვილი** – ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მსოფლიო მევენახეობის და მეღვინეობის ორგანიზაციის წევრი; **თამაზ კობახიძე** – ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, საქართველოს მიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი; **ვაჟა აზარაშვილი** – კომპოზიტორი.

მესამე ეტაპზე დაჯილდოვდნენ „ახალგაზრდა პროფესიონალები“. **ზურაბ ანჯაფარიძე** – ტენორი; **მარიამ წიკლაური** – სოპრანო; **სალომე მოდებაძე** – პიანისტი; **ძინა გონაშვილი** – „აგრო ქიზიყის“ დირექტორი.

ვახუშტი ქიზიყურაშვილმა სპეციალური დიპლომები გადასცა თითოეულ მათგანს და უსურვა დღეგრძელობა და შემდგომი წარმატებები.

მეოთხე ეტაპი გაიმართა დედოფლიწყაროში, ლიტერატურულ ალმანახ „ხორნაბუჯის“ 5 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო შეხვედრაზე ხორნაბუჯის ციხის ძირში. ამ საოცარი ბუნების წიაღში დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის თანათავმჯდომარემ, ამ პროექტის იდეის ავტორმა და ორგანიზატორმა ნანა ჭიჭინაძემ დააჯილდოვა საქართველოს მასშტაბით გამოვლენილი **„ახალგაზრდა პროფესიონალი“** პიროვნებები, ცნობილი ჟურნალისტი ილია მარტყოფლიშვილი და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის V კურსის სტუდენტი, საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიანტი **კარლო ყოჩიაშვილი**, მათ დიპლომებთან ერთად გადაეცათ ლიტერატურულ ალმანახ „ხორნაბუჯი“-ს საიუბილეო ნომერი.

მარიკა პოპიაშვილი

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
ᲕᲐᲟᲐ ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ №48
ᲢᲔᲚ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲫᲝᲒᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 53-76-16;
ᲐᲚᲔᲥᲝ
ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
514 33-33-24

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„ᲙᲝᲚᲝᲠᲨᲘ“
ე. ბაღდავაძის №3
ᲙᲝᲚᲝᲠ ᲯᲒᲣᲤᲘ

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲧᲐᲓᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲕᲖᲘᲗ. ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲝᲜᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ. ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

ᲓᲝᲜᲐᲚᲓ ᲢᲠᲐᲛᲞᲘ ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲡ ᲗᲐᲦᲚᲘᲗᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲡ

„ᲩᲕᲔᲜᲘ ექიმები უფრო მეტ ფულს იღებენ, თუ ვინმე კორონავირუსით კვდება. ჩვენი ექიმები ძალიან ჭკვიანები არიან. ამბობენ, რომ ყველა კოვიდით კვდება. თუმცა, გერმანიაში, მაგალითად, თუ კიბო გაქვთ ან გულის შეტევა და კორონავირუსით დაინფიცირდებით, სიკვდილის მიზეზად კორონავირუსს არ მიუთითებენ. ჩვენთან კი მოქმედებენ შემდეგი პრინციპით: ეჭვის შემთხვევაში, აირჩიეთ კოვიდი. ეს სიმართლეა. სადღაც 2 000 დოლარით მეტს იღებენ“, – განაცხადა დონალდ ტრამპმა წინასაარჩევნო მიტინგზე სიტყვით გამოსვლისას. პანდემიის დაწყებიდან დღემდე აშშ-ში კორონავირუსის 9.2 მილიონი შემთხვევა გამოვლინდა, 234 011 ადამიანი კი გარდაიცვალა. აშშ ინფიცირებულების რაოდენობით მსოფლიოში პირველ ადგილზეა.

ᲣᲞᲠᲔᲪᲔᲓᲔᲜᲢᲝ ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲐ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ შეერთებულ შტატებში უპრეცედენტო წინასაარჩევნო აქტივობა დაფიქსირდ. საპრეზიდენტო არჩევნებამდე 2 დღე რჩება, თუმცა წინასწარი კენჭისყრის უფლებით უკვე 90 მილიონზე მეტმა ამერიკელმა ისარგებლა, რაც 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე ამომრჩეველთა სრული აქტივობის 65%-ს შეადგენს.

ექსპერტების პროგნოზით, წლევანდელი აქტივობა 2016 წელზე გაცილებით მაღალი იქნება, რადგან ამომრჩეველთა მხრიდან დიდი ინტერესი დასტურდება. ამომრჩეველთა დიდმა ნაწილმა ხმა ფოსტის მეშვეობით მისცა, ნაწილი კი წინასწარი კენჭისყრისთვის განკუთვნილ საარჩებნო უბანზე მივიდა.

ᲛᲘᲬᲘᲡᲫᲕᲠᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓ ᲓᲐᲦᲣᲞᲣᲚᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ

ᲓᲐᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲗᲐ რიცხვი 900-ს აღწევს, დაღუპულთა კი – 49-ს. ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, 299 დაშავებულს ჯერ კიდევ მკურნალობენ.

თურქეთში 6.6 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა 30 ოქტომბერს მოხდა. ეპიცენტრი ქალაქ იზმირის სანაპირო რეგიონში, ეგეოსის ზღვაში, 16.5 კილომეტრის სიღრმეში დაფიქსირდა. სტიქიას 400-ზე მეტი ძლიერი ბიძგი მოჰყვა. ბიძგები იგრძნობოდა საბერძნეთშიც.

ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ ᲨᲝᲜ ᲙᲝᲜᲔᲠᲘ



ᲨᲝᲢᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚᲘ მსახიობი შონ კონერი 90 წლისა გარდაიცვალა. ინფორმაციას ამის შესახებ ბრიტანული მედია მსახიობის ოჯახის წევრებზე დაყრდნობით ავრცელებს.

თავისი პროფესიული კარიერის განმავლობაში შონ კონერიმ 70-ზე მეტ ფილმში მიიღო მონაწილეობა, მათ შორის ჯეიმს ბონდზე 7 ფილმში.

შონ კონერი ოსკარის, ოქროს გლობუსის და BAFTA-ს მფლობელია. 1987 წელს მან მიიღო ოსკარი კატეგორიაში „საუკეთესო მეორეხარისხოვანი როლი“, ფილმისთვის „ხელშეუხებლები“.

ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲰᲐᲔᲠᲘᲕᲘᲗ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ!

ᲒᲐᲜᲐᲗᲐᲕᲡᲔᲗ ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲜᲓᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲗ ᲮᲔᲚᲘ ᲨᲔᲣᲬᲧᲕᲔᲗ 102 ᲬᲚᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲐᲦᲝᲠᲫᲘᲜᲔᲑᲐᲡ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲐ: №GE19TB7601536020100009.

(ᲨᲞᲡ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔ“ – ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ).

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, 5 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:
ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 3.2327; ᲔᲕᲠᲝ - 3.7732;
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 4.1836;
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 4.0776; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.3881;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 1.9016;
1000 ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘ - 6.5655.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 2 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ
ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:
ᲑᲐᲠᲘ - ᲦᲐᲛᲔ +7, ᲓᲦᲔ +24
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ - ᲦᲐᲛᲔ +3, ᲓᲦᲔ +19
ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:
ᲑᲐᲠᲘ - ᲦᲐᲛᲔ +10, ᲓᲦᲔ +21
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ - ᲦᲐᲛᲔ +6, ᲓᲦᲔ +18
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ: ᲦᲐᲛᲔ +12, ᲓᲦᲔ +24

ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ᲢᲔᲚ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐ: sakresp@mail.ru
ᲓᲐ sakresp@top.ge
ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: www.sakresp.ge